ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკაკი მიქელაძე

ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები

მაკროეკონომიკა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:
ასოცირებული პროფესორი მალხაზ ჩიქობავა

თბილისი 2020

ანოტაცია

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკურ ასპექტები, გავაანალიზებულია მასზე მოქმედ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები, გაზომვის და შეფასების ყველაზე მნიშვნელოვან კრიტერიუმები.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ფაქტორები და ის მთავარი ინდიკატორები, რომელიც აუცილებელია ეკონომიკური ზრდის მისაღწევად. ასევე წარმოდგენილია სხვადასხვა ეკონომიკური თეორია, აღწერილი და გაანალიზებულია ცნობილი ეკონომისტების შეხედულებები ეკონომიკური ზრდაზე. წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის კლასიკური, კეინზიანური, პოსტკეინზიანური და ნეოკლასიკური თეორიების მოკლე შინაარსი.

ნაშრომში ასევე განხილულია ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა. ყურადღება გამახვილებულია ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის კოორდინაციის მნიშვნელობაზე და სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციაზე.

ნაშრომის მეორე თავში წარმოდგენილია საქართველოში ეკონომიკური ზრდის სიტუაციური ანალიზი, ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტენდენციას გვიჩვენებს.

ასევე განხილულია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები საქართველოში, როგორც ეკონომიკური ზრდის დაჩქარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. გაანალიზებულია აგრეთვე ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი. წარმოდგენილია ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ინდექსი და ამ ანალიზის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები.

ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური ასპექტები, საქართველოში ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობები და რეკომენდაციები.

Anotation

In this paper, we discuss the main macroeconomic aspects of economic growth, most important factors affecting it, the most important criteria for measurement and evaluation.

The first chapter of the paper includes the macroeconomic factors of economic growth, the main indicators that are necessary to achieve economic growth. Various economic theories have also been presented, describing and analyzing the views of renowned economists on economic growth. A brief summary of the classical, Keynesian, Post Keynesian and neoclassical theories of economic growth is presented.

The paper also discusses economic policies that stimulate economic growth. The focus is on the importance of coordinating monetary and fiscal policies that stimulate economic growth and the regulatory function of the state.

The second chapter of the paper presents a situational analysis of economic growth in Georgia, the main macroeconomic indicators that show the country's economic growth trend.

The paper also discusses the possibilities of inclusive economic growth in Georgia as one of the important factors in accelerating economic growth. All the important factors affecting economic growth are also analyzed. The Inclusive Economic Growth Index and the economic growth opportunities based on this analysis are presented.

At the end of the paper, macroeconomic aspects of economic growth, economic growth opportunities and recommendations in Georgia are presented.

შინაარსი

შესავალი.....5

თავი 1.ეკონომიკური ზრდის თეორიული ასპექტები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.....5

1.1 ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და მთავარი ინდიკატორები 5

1.2 ეკონომიკურიზ რდის მაკროეკონომიკური თეორიები 17

თავი 2. ეკონომიკური ზრდა საქართველოში.....33

2.1 საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ტენდენციები 33

2.2 ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა საქართველოში 54

დასკვნა 70

გამოყენებული ლიტერატურა 72

შესავალი

თემის აქტუალურობა. ეკონომიკური ზრდა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანია საკითხია, მზარდი ეკონომიკური ზრდა გულისხმობს იმას, რომ ქვეყანას შეუძლია აწარმოოს მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის საქონლი და მომსახურება, ანუ მიაღწიოს ცხოვრების უფრო მაღალ დონეს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა არსებული რესურსების მაქსიმალურად და ეფექტიანად გამოყენების გზით მიიღწევა.

ზოგადად ეკონომიკური ზრდა დროის განსაზღვრულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების ეროვნული წარმოების გადიდებაა. ეკონომიკური ზრდის ყველაზე განზოგადოებულ საზომს წარმოადგენს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი და მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი გამოშვების რეალური სიდიდე. ამიტომ, ეკონომიკურ ზრდაზე საუბრისას იგულისხმევა მთლიანი შიდაპროდუქტი (GDP) ან მისი სიდიდე მოსახლეობის ერთ სულზე დროის კონკრეტულ მომენტში. ზოგადად, GDP წარმოადგენს პროდუქციის და მომსახურების საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოებულია მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე დროის გარკვეულ პერიოდში.

ეკონომიკური ზრდის შეფასებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია საგადასახდელო ბალანსი და სახელმწიფო ვალის დინამიკა.

იმისათვის, რომ გაიზარდოს ეკონომიკა, საჭიროა საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდა, რასაც, პირველ რიგში, სჭირდება წარმოებაში ახალი დამატებითი ან აქამდე გამოუყენებელი რესურსების ჩართვა, დამატებითი მუშაკების დაქირავება, ეროვნული დაზოგვის ნორმის ზრდა, წარმოებაში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება. ნებისმიერი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ასტიმულირებს ეკონომიკური ზრდის ზემოთ მოცემული ფაქტორების ზრდას, ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი პოლიტიკაა.

კვლვევის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია საქართველოს მაგალითზე გამოვყოთ ყველა ის მაკროეკონომიკური ასპექტი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდის ტემპზე ახდენს გავლენას. კვლევის ამოცანას წარმოადგენს შევაფასოთ საქართველოში ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების, ისეთის როგორციაა: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა ეკონომიკის რეალურ სექტორში (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამშენებელო სექტორი), მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა, ბიუჯეტის დეფიციტი, საგადასახდელო ბალანსი, სახელმწიფო ვალის და ეროვნული დანაზოგების არსებული მდგომარეობა. ამის საფუძველზე გავაანალიზოთ ქვეყნის ის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება.

კვლევის ობიექტი და საგანი. კველევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს. **კვლევის საგანი** მოიცავს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დადგენას.

კვლევის მეთოდოლოგია. ნაშრომში გამოყენებულია ქართველი და უცხოელი ეკონომიკის მკვლევრების შეფასებები ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით. ასევე ანალიზისთვის მოყვანილია ინფორმაცია სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან, საქართველოს ეროვნული ბანკიდან და ფინანსთა სამინისტროდან, რის საფუძველზეც ჩატარებულია კვლევა თუ როგორ იცვლება ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებლები წლიდან წლამდე და როგორ მოქმედებს ეს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპმებზე.

თავი 1.ეკონომიკური ზრდის თეორიული ასპექტები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა

1.1 ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და მთავარი ინდიკატორები

ეკონომიკური ზრდის ცნება მაკროეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი ძირითადია, რომელიც გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის შესაფასებლად. ეკონომიკური ზრდა გულისხმობს ქვეყანაში არსებული დოვლათის ანუ GDP-ის მოცულობის და საწარმოო პოტენციალის გადიდებას. რეალური GDP, რომელიც ზრდის მაჩვენებლად გამოიყენება, ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე შექმნილი დოვლათის ზრდის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორია, რადგანაც ხდება ისეც, რომ ქვეყანაში იზრდება GDP, მაგრამ ქვეყნის ცხოვრების დონე იგივე რჩება, ან საერთოდ მცირდება. ამის მიზეზი კი მოსახლეობის სწრაფი ზრდა შეიძლება იყოს.

ეკონომიკური ზრდა თავისი ხასიათით საკმაოდ არაერთგვაროვანი და რთული პროცესია. მის მერყეობას განაპირობებს ციკლური და არაციკლური ცვლილებები. ზოგადად ეკონომიკის დინამიკა ყოველთვის აღვამავალი არაა, ის შეძლება იყოს ნული ან სულაც უარყოფითი.

ეკონომიკური ზრდის მიღწევა ძირითადად დაკავშირებულია საწარმოო ფაქტორების რაოდენობრივ ზრდასთან და ეკონომიკურ განვითარებასთან. თანამედროვე ეკონომიკაში ზრდის ოთხი ტიპია გამოყოფილი, ესენია:

- ✓ თანაბარი ზრდა
- ✓ სასწაულებრივი ზრდა
- ✓ ტრაგიკული ზრდა
- ✓ ეკონომიკური ზრდის არარსებობა

ხშირად ეკონომიკური ზრდის ცნება გაიგივებულია ეკონომიკურ განვითარებასთან. ეკონომიკური ზრდა ეკონომიკის მასშტაბების რაოდენობრივი გადიდებაა, თუმცა ის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ასპექტსაც წარმოადგენს, რადგან ეკონომიკური განვითარება ეკონომიკის რაოდენობრივი განვითარების პირობების შემქნელია. მაგრამ

შესაძლებელია მოხდეს ისეც, რომ ეკონომიკურ ზრდას ადგილი ჰქონდეს ეკონომიკური განვითარების გარეშე და პირიქით.

ეკონომიკური განვითარება გარკვეულწილად არის სამრეწველო ძალების, მეცნიერების და განათლების, კულტურის, ცხოვრების დონის, კაპიტალის და სტრუქტურული დადებითი ცვლილებების გაფართოება.

ეკონომიკურ ზრდას ძირითადად ოთხი ფაქტორი განსაზღვრავს, ესენია: ადამიანური რესურსები, ბუნებრივი რესურსები, კაპიტალის ფორმირება და ტექნოლოგიები. განმსაზღვრელ ფაქტორებში ასევე იგულისხმევა ეკონომიკური ზრდის ტიპები, სადაც ძირითადად გამოიყოფა ექსტენსიური და ინტენსიური ზრდა. ექსტენსიური ეკონონომიკური ზრდა ძირითადად გულისხმობს გამოყენებული რესურსების რაოდენობრივ ზრდას, რომელიც მიიღწევა შრომითი დანახარჯების, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის ზრდის ხარჯზე. ამ დროს, ეკონომიკური ზრდის ტემპი დამოხმარებული რესურსების რაოდენობა ერთმანეთის ტოლია.

ეკონომიკის ინტენსიური ზრდა გულისხმობს წარმოების რესურსების გაუმჯობესებით ეკონომიკური ზრდის მიღწევას. თანამედროვე ეკონომიკაში უფრო მეტად ინტენსიური ფაქტორებს იყენებენ, რაც ეფექტიანობის ამაღლებას ემასხურება, ეს იმას ნიშნავს, რომ მცირდება წარმოებული გაწეული დანახარჯები (დოვლათის შრომატევადობა, მასალატევადობა, ენერგოტევადობა) და იზრდება სასარგებლო თვისებები. თანამედროვე წარმოებას ორივე მიდგომის შეთვისება შეუძლია, მაგრამ ინტენსიური ეკონომიკური ზრდა ბევრად მნიშვნელოვანია, რადგანაც ამ შემთხვევაში ხდება შეზღუდული ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური ეფექტიანობით ათვისება.

ზოგადად ეკონომიკურ ზრდას არ გააჩნია მუდმივი და მდგრადი ხასიათი. არსებობს პერიოდები, როცა პროდუქტის წარმოება და მოხმარება მაღალი ტემპებით ვითარდება სხვა პერიოდებთან შედარებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ეკონომიკურ ციკლებთან, რაც წარმოების ზრდის პერიოდულ რყევებს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გამოიყოფა 4 ფაზა:

1. პიკის ფაზა, სადაც წარმოების მოცულობა და რეალიზაცია შესაძლო მაქსიმუმს აღწევს, მაღალია საზოგადოების შემოსავლები და ეკონომიკა სრული დასაქმების მდგომარეობაშია.

2. ვარდნის (რეცესიის) ფაზა, რომელიც წარმოებისა და რეალიზაციის ვარდნის პერიოდს წარმოადგენს, როდესაც ეკონომიკაში ადგილის აქვს წარმოების ზრდის შენელებას. ეს იწვევს მუშახელის დათხოვნას და შემოსავლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს გადახდისუნარიან მოთხოვნას.

3. შემდეგია კრიზისული ფაზა (ფსკერი, სტაგნაცია). ამ დროს წარმოება და რეალიზაცია მინიმალურ მაჩვენებლებზეა, უმუშევრობის დონე კი მაღალია.

4. აღმავლობის ფაზაში ხდება წარმოების გამოცოცხლება, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდა, რაც წარმოებისა და დანახარჯების მასტიმულირებელია.

სხვადასხვა ეკონომიკური ზრდის თეორიები და მოდელები აღწერენ იმ გზებს, რომლითაც ეკონომიკური ზრდის მიღწევაა შესაძლებელი. იმის გამო, რომ ეკონომიკური ზრდა ითვლება ძირითად ფაქტორად, რომელიც ადამიანების ცხოვრების დონეს უკავშირდება, ეს საკითხი აქტუალურობას არ კარგავს. მეცნიერები ხაზს უსვამენ იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას განაპირობებენ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ესენია: ბუნებრივი რესურსები, კაპიტალური საქონელი, ადამიანური რესურსები და ტექნოლოგიური განვითარება, რასაც პირდაპირი გავლენა აქვს საქონლის ღირებულებასა და მიწოდებაზე.

ხელმისაწვდომმა ადამიანური რესურსის ხარისხმა და რაოდენობამ შეიძლება პირდაპირი გავლენა იქონიოს ეკონომიკის ზრდაზე. ადამიანური რესურსების ხარისხი დამოკიდებულია მის უნარებზე, შემოქმედებით შესაძლებლობებზე, ტრენინგსა და განათლებაზე. თუ ქვეყნის ადამიანურ რესურსს გააჩნია სათანადო განათლება, გამოცდილება და კვალიფიკაცია, მაშინ შედეგი ასევე მაღალი ხარისხის იქნება. მეორე მხრივ, გამოცდილების მქონე სამუშაო ძალის დეფიციტი აფერხებს ეკონომიკის ზრდას, ხოლო შრომის ჭარბ წონას უფრო მცირე მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისთვის. ამრიგად, ქვეყნის ადამიანური რესურსები უნდა იყოს სათანადო განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე, საჭირო უნარ-ჩვევებითა და შესაძლებლობებით, რათა უზრუნველვყოთ უწყვეტი ეკონომიკური ზრდა.

ბუნებრივი რესურსები უდიდეს გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ბუნებრივი რესურსებიდან აღსანიშნავია მიწის რესურსები, რომელიც მოიცავს მცენარეებს,

წყლის რესურსებს და ლანდშაფტს. აქ ძირითადად იგულისხმევა ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ნავთობი, ბუნებრივი გაზი, სხვადასხვა ლითონის საბადოები და მინერალები. ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი ათვისებადამოკიდებულია ადამიანური რესურსის უნარ-ჩვევებზე, გამოყენებულ ტექნოლოგიასა და ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობაზე. ქვეყანა, რომელსაც ჰყავს გამოცდილი და განათლებული ადამიანური რესურსი და მდიდარია ბუნებრივი რესურსებით,ეკონომიკური ზრდის მიღწევა ბევრად უადვილდება.

კაპიტალის ფორმირება ზრდის კაპიტალის ხელმისაწვდომობას ყოველ მუშაკზე, რაც კიდევ უფრო ზრდის შრომის კაპიტალშეიარაღებას. შესაბამისად, იზრდება შრომის მწარმოებლურობა, რაც საბოლოოდ იწვევს ეკონომიკურ ზრდას.

ტექნოლოგიური განვითარება ხელს უწყობს მწარმოებლურობის (წარმოების ფაქტორთა ერთობლივი მწარმოებლურობის) ზრდას რესურსების უცვლელობის პირობებში. ქვეყნები, რომლებიც მუშაობენ კვლევებისა და განვითარების სფეროში, სწრაფად იზრდებიან იმ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ნაკლები რესურსები ეთმობა მას. სწორი ტექნოლოგიის არჩევა ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკის ზრდაში და პირიქით, შეუსაბამო ტექნოლოგია წარმოების ფასს აძვირებს.

ყველა ამ ფაქტორის ზრდა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ფაქტორების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება. როგორც ვიცით GDP-ის ზრდით შეგვიძლია გავზომოთ ეკონომიკური ზრდა, მაგრამ ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ სხვადასხვა ფაქტორები, როგორიცაა: საზოგადოებრივი ხარჯები, კაპიტალის ფორმირება, კერძო ან სახელმწიფო ინვესტიციები, დასაქმების მაჩვენებლები, გაცვლითი კურსი და ა.შ., რომლებიც სხვადასხვა გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.

ასევე გასათვალისწინებელია არაეკონომიკური ფაქტორებიც, როგორიცაა: მთავრობის ეფექტურობა, ქვეყნის ინსტიტუციური განვითარება, პოლიტიკური და ადმინისტრაციული სისტემები, კულტურული და სოციალური ფაქტორები, გეოგრაფია და დემოგრაფია, რომლებმაც შესაძლოა გარკვეული გავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე.[1]

[1]http://www.economicsdiscussion.net/economic-growth/5-factors-that-affect-the-economic-growth-of-a-country/4199

არსებობს ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი პირდაპირი და არაპირიდაპირი ფაქტორები, რომლებსაც სხვადასხვა ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენს ისეთი პირდაპირი ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად: ადამიანური რესურსები (აქტიური მოსახლეობის ზრდა, ადამიანურ კაპიტალში ინვესტიცია), ბუნებრივი რესურსები, ფიზიკური კაპიტალის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი.

ეკონომიკურ ზრდაზე გავლენას ახდენს არაპირდაპირი ფაქტორებიც, მაგალითად, ინსტიტუტები (ფინანსური ინსტიტუტები, კერძო ადმინისტრაციები.), ერთობლივი მოთხოვნა, დაზოგვისა და ინვესტიციების ნორმა, ფინანსური სისტემა, ფისკალური პოლიტიკა, შრომისა და კაპიტალის მიგრაცია და მთავრობის ეფექტიანობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ეკონომიკურ ზრდას ეხება, ესაა სავაჭრო კომპონენტები და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. ეკონომიკაში უამრავი კველევაა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს სავაჭრო კომპონენტების გამართული მუშაობა ეკონომიკურ ზრდაზე. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა ღიაა საგარეო ვაჭრობისთვის, ბევრად უფრო მაღალი GDP-ით ხასიათდება მოსახლეობის ერთ სულზე. ეკონომიკის მკვლევარმა სებასტიან ედვარდმა ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაასკვნა, რომ ვაჭრობის ღიაობას შეუძლია გავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე. ის ხაზს უსვამს ექსპორტის მნიშვნელობას საკუთარ კვლევაში ასკვნის, რომ ექსპორტის ზრდა დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე, ხოლო იმპორტის ზრდა კი პირიქით - უარყოფითად.

არსებობს ეკონომიკური ზრდის ენდოგენური და ეგზოგენური მოდელები. ენდოგენური ზრდის თეორია 1980-იან წლებში წარმოიშვა, როგორც ნეოკლასიკური ზრდის თეორიის ალტერნატივა. ენდოგენური ზრდის თეორიის მიხედვით ეკონომიკური ზრდა წარმოიქმნება სისტემის შიგნიდან, როგორც შიგა პროცესების პირდაპირი შედეგი. ენდოგენური ზრდის თეორია ამტკიცებს, რომ ეკონომიკური ზრდა უპირატესად შიდა ძალების შედეგია, ვიდრე გარეგანის და მწარმოებლურობის გაუმჯობესება შეიძლება უშუალოდ უკავშირდებოდეს ინოვაციებს და უფრო მეტ ინვესტიციებს ადაიანურ კაპიტალში მთავრობებიდან და კერძო სექტორიდან. ეს შეხედულება განსხვავდება ნეოკლასიკური ეგზოგენური ზრდის მოდელებისგან.

ენდოგენურმა თეორიამ წარმოაჩინა ახალი შეხედულებები ეკონომიკაში. იგი ამტკიცებს, რომ კეთილდღეობის მუდმივ მაჩვენებელზე გავლენას ახდენს შიდა პროცესები, როგორიცაა ადამიანური კაპიტალის, ინოვაციისა და საინვესტიციო კაპიტალის ცვლილება, ვიდრე გარე, არაკონტროლირებადი ძალები, რომლებიც ასახულია ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელში.

ენდოგენური ზრდის თეორიაში მწარმოებლურობის გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციებთან და ინოვაციებთან. ეკონომისტმა პოლ რომერმა წამოაყენა არგუმენტი, რომ ტექნოლოგიური ცვლილებები არ არის მხოლოდ დამოუკიდებელი სამეცნიერო განვითარებების ეგზოგენური პროდუქტი. იგი ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამთავრობო პოლიტიკა, ინვესტიციები და ინტელექტუალური საკუთრების კანონები, ხელს უწყობს ენდოგენური ინოვაციების განვითარებას და მუდმივი ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას.

ენდოგენური ზრდის თეორია ეყრდნობა შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ მთავრობის პოლიტიკას შეუძლია აამაღლოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი ქვეყანაში კონკურენციის ხარისხის ამაღლებით.
- ✓ კერძო სექტორის ინვესტიციები ტექნოლოგიური პროგრესისთვის გადამწყვეტია.
- ✓ საკუთრების უფლების დაცვა აუცილებელია ბიზნესისა და მეწარმეების ჩართულობის სტიმულირებისთვის.
- ✓ ინვესტიცია ადამიანურ კაპიტალში ზრდის მნიშვნელოვანი კომპონენტია.
- ✓ სამთავრობო პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს მეწარმეობას, როგორც ახალი ბიზნესის შექმნის საშუალებას, როგორც ახალი სამუშაო ადგილების, ინვესტიციებისა და შემდგომი ინოვაციების მნიშვნელოვან წყაროს.

ეკონომიკური ზრდის ეგზოგენური მოდელი, ისევე როგორც ენდოგენური, ნეოკლასიკური შეხედულებების ნაწილია. ეგზოგენური ზრდის მოდელში ერთ-ერთ მთავარ როლს ტექნოლოგიური პროგრესი თამაშობს, რომელიც ეკონომიკური ძალებისგან დამოუკიდებელია. ეგზოგენური ზრდის თეორიაში ნათქვამია, რომ ეკონომიკური ზრდა წარმოიქმნება ეკონომიკის გარეთ. ძირითადი მოსაზრებაა, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა პირველ რიგში განისაზღვრება გარეგანი, დამოუკიდებელი ფაქტორებით.

შინაგანი, ურთიერთდამოკიდებული ფაქტორებისგან განსხვავებით, ეგზოგენურ მოდელში ზრდის განსაზღვრაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფიზიკური კაპიტალის დაგროვება, დანაზოგები და ტექნოლოგიური ცვლადი. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ენდოგენური, ისე ეგზოგენური მოდელები ხაზგასმით აღნიშავენ ტექნოლოგიურ ფაქტორს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში. ეგზოგენურ მოდელში ხაზგასმულია, რომ ეკონომიკური სისტემის მიღმა არსებული ტექნოლოგიური წინსვლა გადამწყვეტი ფაქტორია მაღალი მწარმოებლურობის მისაღწევად, ხოლო ენდოგენურ მოდელში ტექნოლოგიურ პროგრესი თავად ეკონომიკურ სისტემაში განისაზღვრება. ეგზოგენური (გარე) ზრდის ფაქტორები მოიცავს ისეთი ელემენტებს, როგორიცაა ტექნოლოგიური წინსვლის ტემპი ან დაზოგვის ნორმა. ენდოგენური (შიდა) ზრდის ფაქტორებია ადამიანურ კაპიტალში ინვესტიცია, პოლიტიკის გადაწყვეტილებები და მუშახელის კვალიფიკაციის ამაღლება სამუშაო ადგილზე გამოცდილების მიღებით. ეგზოგენურ მოდელებს მიეკუთვნება სოლოუს ნეოკლასიკური და ჰაროდ-დომარის პოსტკეინზიანური მოდელები.

- ✓ ეგზოგენური ზრდა, როგორც ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის ძირითადი ასპექტი, მეტყველებს იმაზე, რომ ზრდა გამოწვეულია ტექნოლოგიური პროგრესით, რომელიც მოდელში ეგზოგენურად (გარედან) მოიცემა და დამოუკიდებელია ეკონომიკური ძალებისგან.
- ✓ მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეგზოგენური, ისე ენდოგენური ზრდის მოდელები ხაზს უსვამენ ტექნოლოგიური პროგრესის როლს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, პირველი თვლის, რომ ეს საკვანძო ცვლადი იბადება ეკონომიკური სისტემის მიღმა მაშინ, როდესაც ენდოგენურ მოდელებში ეკონომიკური სისტემის ფარგლებში მოქმედებები იწვევს მის შექმნას.[2]

სახელმწიფოს მონეტარული და ფისკალური პოლიტიკით შეუძლია გავლენის მოხდენა ეკონომიკურ ზრდაზე. მონეტარული პოლიტიკა ცენტრალური ბანკისმიერ ფულის მიწოდების მანიპულირებით ეკონომიკურ აქტივობებზე ზემოქმედების მექანიზმია. მონეტარული პოლიტიკა ზრდის ლიკვიდობას ეკონომიკური ზრდის წასახალისებლად. უმუშევრობის შესამცირებლად და რეცესიის თავიდან ასაცილებლად

[2]https://www.investopedia.com/terms/e/exogenous-growth.asp

ცენტრალური ბანკები იყენებენ ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას, ანუ ზრდიან ლიკვიდობას, რის შედეგადაც ბანკები უფრო მეტ თანხას გასცემენ დაბალი პროცენტით. ამის შედეგად ბიზნესები უფრო მეტს სესხულობენ აღჭურვილობის შესაძენად, თანამშრომლების დასაქირავებლად და ოპერაციების გასაფართოვებლად. ფიზიკური პირები უფრო მეტს სესხულობენ ახალი სახლების, ავტომობილების და საოჯახო ტექნიკის შესაძენად. ყოველივე ეს ზრდის ერთობლივ მოთხოვნას, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვებისა და საგადასახადო განაკვეთების სტრუქტურით მანიპულირებას ეკონომიკურ, განსაკუთრებით მაკროეკონომიკურ გარემოზე, კერძოდ: საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნაზე, დასაქმებაზე, ინფლაციასა და ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების მოსახდენად. ფისკალური პოლიტიკა მეტწილად ემყარება ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მაინარდ კეინზის იდეებს. ამ იდეების არსი გამოიხატება იმაში, რომ ეკონომიკური რეცესიები განიხილება ერთობლივი მოთხოვნის, განსაკუთრებით, სამომხმარებლო ხარჯებისა და ერთობლივი კერძო შიდა ინვესტიციების მკვეთრი ვარდნით. ამიტომ, კეინზი თვლიდა, რომ მთავრობას შეუძლია ბიზნეს-ციკლის სტაბილიზაცია და ეროვნული წარმოების რეგულირება საქონლისა და მომსახურების სამთავრობო შესყიდვებისა და საგადასახადო პოლიტიკის რეგულირებით. მისი თეორია შემუშავდა დიდი დეპრესიის საპასუხოდ, კლასიკური ეკონომიკური თეორიის პოსტულატების საპირწონედ, რომლის მიხედვითაც ეკონომიკას ავტომატური თვითრეგულირების უნარი გააჩნია.[3]

თუ მთავრობას სურს ეკონომიკური ზრდის სტიმულირება, ის ზრდის საქონლისა და მომსახურების ხარჯვას, რის შემდეგაც იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც ასტიმულირებს წარმოების ზრდას. მზარდ წარმოებას ჭირდება მეტი სამუშაო ძალის დაქირავება, რაც კიდევ უფრო ზრდის მოთხოვნას და ასტიმულირებს მეტ წარმოებას, რომლის შედეგადაც ზრდის ციკლი გრძელდება. შესაბამისად, ამგვარი სამთავრობო დანახარჯები განაპირობებს ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას.

[3]https://www.investopedia.com/terms/f/fiscalpolicy.asp

მთავარი ინდიკატორები, რომლებიც პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით აფასებს, თუ როგორ შეიცვალა ეკონომიკის მდგომარეობა და რამდენად შესაძლებელია ზრდის მიღწევა, მთლიანი შიდა პროდუქტია (GDP), რომელიც წარმოადგენს იმ საქონლის და მომსახურების საბოლოო საბაზრო ღირებულებას, რომელიც მზადდება ქვეყნის შიგნით მოცემულ პერიოდში. ქვეყნის GDP-ის გაფართოება მზარდი ეკონომიკის მანიშნებელია, ხოლო შემცირება - ვარდნის ან სტაგნაციის.

დასაქმების მაჩვენებლები ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ფინანსური ბაზრები ყურადღებით აკვირდებიან დასაქმების ამ ინდიკატორებს, განსაკუთრებით განვითარებულ ქვეყნებში.

დასაქმების ვარდნას ხშირად მოჰყვება სამომხმარებლო ხარჯების შემცირება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს GDP-ის დინამიკას და ზოგადად, ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებს.[4] ეკონომიკური ზრდის მისაღწევად საჭიროა GDP-ის ზრდა. ეს შეიძლება მოხდეს სამომხმარებლო ხარჯების და/ან საინვესტიციო ხარჯების ზრდით. ერთჯერადი შემოსავლის დონეს არ შეუძლია განსაზღვროს მომხმარებელთა მოთხოვნა,რადგან ამ დროს ადამიანებს არ აქვთ მუდმივი შემოსავლები და ისინი ნაკლებ ფულს ხარჯავენ საქონელსა და მომსახურებაზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს GDP-ის ზრდაზე.

უმნიშვნელოვანეს ინდიკატორს წარმოადგენს ინფლაციის მაჩვენებელი ქვეყანაში. თუ ინფლაციის ტემპი მიზნობრივი ორიენტირის (თარგეტის) ფარგლებშია და ქვეყანა ახერხებს მის შენარჩუნებას, ეს ეკონომიკურ ზრდას უფრო მეტად აადვილებს. თუ ინფლაცია ძალიან მაღალია, მომხმარებელს ექნება ნაკლები განკარგვადი შემოსავალი, რომელსაც იგი საქონელზე და მომსახურებაზე ხარჯავს. რადგანაც მათი ცხოვრების ღირებულება იზრდება, ეს უარყოფითად მოქმედებს სამომხმარებლო ხარჯებზე, რაც ამცირებს GDP-ის ზრდას.

კიდევ ერთ ინდიკატორს წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთი. დაბალი რეალური საპროცენტო განაკვეთები ასტიმულირებს სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯებს, რაც ერთობლივი მოთხოვნის ზრდით მულტიპლიკატორულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.[5]

---

[4]https://www.thebalance.com/top-economic-indicators-for-global-investors-1979208
[5]https://fairmontequities.com/7-indicators-showing-economic-growth/

მნიშვნელოვანია სავაჭრო ბალანსი, როგორც ინდიკატორი, სავაჭრო ბალანსი სხვაობა ექსპორტსა და იმპორტს შორის. თუ ექსპორტი იზრდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყნის ეფექტიანი მოთხოვნა იზრდება საერთაშორისო ბაზარზე, რაც ადგილობრივი წარმოების ზრდის მასტიმულირებელია. წმინდა ექსპორტის ზრდა დადებითად მოქმედებს ქვეყნის შიდა და გარე წონასწორობაზე. რადგანაც წმინდა ექსპორტი ერთობლივი მოთხოვნის ერთ-ერთი ელემენტია, მისი სიდიდის ზრდა დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე. გარდა ამისა, წმინდა ექსპორტის ზრდა ქვეყანას საშუალებას აძლევს გაზარდოს წმინდა უცხოური აქტივები, ან დამატებით მიღებული სარეზერვო ვალუტა გამოიყენოს მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების ტრანსფერტისთვის.

სავაჭრო დეფიციტმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი საგარეო ვალი. გრძელვადიან პერიოდში ვალის დაფარვის აუცილებლობა მოითხოვს საბიუჯეტო რესურსების ხარჯვას ვალის მომსახურებაზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ეროვნული დანაზოგების სიდიდეზე. ეს კი ქვეყანას უსპობს კაპიტალის დაგროვების შესაძლებლობას, რომელიც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

იმისათვის, რომ მოხდეს ეკონომიკური ზრდის შეფასება, აუცილებელია მისი გაზომვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკური ზრდის გაზომვისთვის ძირითადად გამოიყენება ორი ტიპის მაჩვენებელი. ესენია GDP-ის ზრდის ტემპი (R) და რეალური GDP-ის ზრდის ტემპი (r). მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R = \frac{Y^1}{Y^0}$$

სადაც, Y^1-GDP-ისფაქტობრივი მაჩვენებელია, Y^0 - GDP-ის საბაზისო მაჩვენებელი.

GDP-ის ნაზრდისგაანგარიშებახდებაშემდეგიფორმულით:

$$r = \frac{\Delta Y}{Y^0}$$

სადაც ΔY-GDP-ის ნაზრდის, Y^0 - GDP-ის საბაზისო მაჩვენებელი.

ეკონომიკური ზრდის ამ ორ მაჩვენებლს შორის ყალიბდება შემდეგი თანაფარდობა:

$$R = 1 + r$$

თუმცა ამ ორი მაჩვენებლიდან უფრო ხშირად რეალური GDP-ის ზრდის ტემპი გამოიყენება, მაგრამ ეკონომიკური ზრდის გაზომვისას ყველაზე ყურადსაღებ და პრობლემატურ საკითხს ქვეყნების ან რეგიონების მიხედვით ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება წარმოადგენს. ამ პრობლემის მთავარი არსი გამომდინარეობს იქიდან, რომ კაპიტალი კლებადი უკუგებით ხასიათდება. სწორედ ესაა მიზეზი, რის გამოც ეკონომიკური ზრდა შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში მაღალი ტემპით ხასიათდება. ამას მეორენაირად მკვეთრი ზრდის ეფექტს უწოდებენ და ბუნებრივია, რომ მხოლოდ მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით უნდა მოხდეს ეკონომიკურად განვითარებული და შედარებით განუვითარებელი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის შედარება.

მკვეთრი ეკონომიკური ზრდის გაზომვისთვის აუცილებელია შესაბამისი კოეფიციენტების დადგენა, რომლითაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კორექტირება ხდება. ეკონომიკური ზრდისერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია GDP მოსახლეობის ერთ სულზე (y) და მისი დინამიკა.[6]

გარდა ზემოთქმულისა, ინვესტიციების როლი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში საკმაოდ დიდი და მნიშვნელოვანია. ზოგადად ინვესტიცია - ეს არის კაპიტალდაბანდება, რომელიც უკავშირდება ფიზიკური და/ან ადამიანური კაპიტალის არსებული მარაგის ზრდას. ეს არის კაპიტალდაბანდება ეკონომიკურ საქმიანობაში მოგების მიღების მიზნით. ინვესტიციები ეხმარება საწარმოო პროექტების განხორციელებას, ინოვაციების დანერგვას, წარმოების მთლიანი მოცულობის ზრდას და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობას. ინვესტიციები შეიძლება მრავალი სახის იყოს, მაგალითად: პირდაპირი ინვესტიცები, პორტფელური ინვესტიციები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინვესტიციები და ყველა მათგანი გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე.[7]

[6]file:///C:/Users/Home/Downloads/Papava_ekonomikuri_zrdis_sivrcobrivi_Sedareba.pdf
[7] https://www.tsu.ge/data/file_db/library/PHD_Eka%20Gegeshidze.pdf

როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ინვესტიციებს, აქ ძირითადად საუბარია იმაზე, თუ რომელ სექტორებში უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ინვესტირება. მეცნიერები ძირითადად გამოყოფენ განათლების სფეროს, ჯანდაცვას, კვლევებსა და განვითარებას (R&D), ინოვაციების დანერგვას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და სხვ., ხოლო კერძო ინვესტიციებს შეუძლიათ გავლენა მოახდინოს საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდაზე და დასაქმებაზე. რადგანაც კერძო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების უმთავრესი მიზანი მოგების მიღებაა, სწორედ ეს უკანასკნელი უდევს საფუძვლად რეალური საწარმოო სიმძლავრეების შექმნის მოტივს.[8]

გადასახადებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მოთხოვნისა და მიწოდების ფაქტორებზე. იმ შემთხვევაში, თუ ზღვრული საგადასახადო განაკვეთები მცირდება, ამან შესაძლოა გავლენა მოახდინოს შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე, კერძოდ შესაძლოა მოხდეს სამუშაო ძალაში უფრო მეტი ადამიანის ჩართვა, შრომის ინტენსივობის ზრდა. ასევე ფინანსურ აქტივებზე არსებულშემოსავლებზე, როგორიცაა პროცენტები და დივიდენდები,საგადასახადო განაკვეთების შემცირებამ შესაძლოა დაზოგვის წახალისება გამოიწვიოს.

გადასახადების შემცირებას დადებითი ეფექტის მოხდენა შეუძლია კერძო ბიზნესის საქმიანობაზე. მაგალითად, კომპანიები ხშირად გადასახადების შემცირების ხარჯზე ახდენენ ინვესტიციების გაღრმავებას ქვეყნის შიგნით, ნაცვლად საზღვარგარეთისა.[9]

საგადასახადო სისტემა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე და ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, მაგრამ ყველა ქვეყნისთვის გადასახადები ეკონომიკური მდგომარეობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინდიკატორია. მრავალი კვლევით უკვე დადგენილია, რომ გადასახადების ზომიერ შემცირებას შეუძლია საინვესტიციო აქტივობის წახალისება.

დღეისათვის თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკის ფუნქციონირება სახელმწიფო რეგულაციებზეა დამოკიდებული. მრავალი კომპანია,რომელიც ინტერესდება კონკრეტულ ქვეყანაში ინვესტიციების განხორციელებით, აუცილებლად აანალიზებს იმ რისკებს,

[8] https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/1331677X.2019.1578677
[9]https://www.taxpolicycenter.org/briefing-book/how-do-taxes-affect-economy-long-run

რომლებსაც იგი შესაძლოა ამ ქვეყანაში წააწყდეს. რისკი შეიძლება იყოს როგორც წმინდა ეკონომიკური, ისე პოლიტიკურიც.

ზოგადად რეგულირება მოიცავს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მთავრობა აკისრებს კერძო კომპანიებს და ფიზიკურ პირებს. ეკონომიკაში განასხვავებენ რეგულირების ორ ტიპს: ეკონომიკურს და სოციალურს. ეკონომიკური რეგულირება ეხება იმ წესებს და კანონებს, რომლებსაც სახელმწიფო უწესებს კერძო ბიზნესებს, რათა მაქსიმალურად შეამციროს მონოპოლიის გაჩენის შესაძლებლობა, ხელი შეუწყოს ბაზარზე მაღალი ხარისხის კონკურენციის არსებობას და კომპანიების მაქსიმალურად გამჭვირვალე მუშაობას. რეგულერების ყველა ტიპი არ მომდინარეობს სახელმწიფოსგან. ხშირად კომპანიებს შიგნითაც არსებობს გარკვეული თვითმარეგულირებელი ნორმები, რომლებიც სახელმწიფო სტანდარტების დაცვისკენაა მიმართული.[10]

როდესაც ბაზრის მონაწილეებს გარკვეული გადასახადები ეკისრებათ, ეს საზოგადოებრივი თვალსაზრისით, გარკვეულ სოციალურ დანაკარგებს უკავშირდება. ეს დანაკარგები უმეტეს შემთხვევაში მთავრობის მიერ მიღებულ შემოსავალზე ბევრად მეტია. როდესაც დაბეგვრა იზრდება, ავტომატურად იზრდება საერთო დანაკარგებიც, რადგან გადასახადები იწვევს წარმოების მასშტაბების შემცირებას და ადამიანების ცხოვრების დონის შემცირებას. ამას მეტნაკლებად ყველა ეკონომიკური სკოლა ეთანხმება.

დაბეგვრა უარყოფითად მოქმედებს დანაზოგებზე, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მაღალი გადასახადების მიუხედავად, შემოსავლების დონე და ეროვნული პროდუქტი რამდენჯერმე გაიზარდა., ეს მოვლენა ცნობილმა მეცნიერმა ჰანს-ჰერმან ჰოპემ შემდეგნაირად ახსნა - მან ამგვარი ზრდა დაუკავშირა არა ეკონომიკურ თეორიას, არამედ სოციოლოგიას. მისი განმარტებით, ეს უკავშირდებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამართლიანობის იდეის სიღრმისეულ დანერგვას. დაბეგვრა, თავისი არსით, სახელმწიფოს მხრიდან მწარმოებელთა კუთნილი რესურსების მითვისებაა, რისი მიღწევაც მხოლოდ იძულების საფუძველზე ხდება. მაგრამ, თუ სახელმწიფოს არ აქვს საზოგადოების მხარდაჭერა ამ პროცესში, მაშინ დაბეგვრა მძიმე შედეგების მომტანია. მხარდაჭერის

[10]https://en.wikipedia.org/wiki/Regulatory_economics

მასშტაბები ზღუდავს დაბეგვრის საზოგადოებისთვის მისაღებ ტვირთს და ზოგადად, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ეფექტურად ჩარევას სწორედ ეს განსაზღვრავს.

ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე რეგულაციების ზრდა მიზანშეწონილი არ არის, რადგან რეგულირება კერძო ეკონომიკური საქმიანობისთვის ისეთივე შეზღუდვას წარმოადგენს, როგორც დაბეგვრა. რეგულირებას სჭირდება დამატებითი ხარჯები, ეს კი სახელმწიფოს შემოსავლებს ვერანაირად ვერ გაზრდის. ეს საზოგადოების შემოსავლების გადანაწილებას გულისხმობს. რეგულაციების გარეშე წმინდა დაბეგვრის პოლიტიკა უფრო მეტად ეფექტური იქნება.

როდესაც სახელმწიფოს მხრიდან კერძო საკუთრების ექსპლუატაცია და ეკონომიკური შედეგების მითვისება უპრეცედენტოდ მაღალ მასშტაბებს აღწევს და როდესაც ეს უკვე სახელმწიფოს მხრიდან ლეგიტიმურად ითვლება, მიღებული შედეგებიც უმძიმესია. ამ დროს ხდება სახელმწიფოს გარდასახვა სამხედრო-პოლიციურ სისტემად, რომელიც ზღუდავს კერძო საქმიანობას. ზოგადად დიდი გადასახადები და მკაცრი რეგულაციები კლავს ბიზნესის თავისუფლებას, ძირშივე ანადგურებს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას და ამცირებს ინვესტიციების დონეს ქვეყანაში. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს GDP-ის ზრდაზე. ამგვარი ქვეყნები თანამედროვე მსოფლიოშიც მრავლადაა, რომლებიც ხასიათდებიან უარყოფითი ეკონომიკური მაჩვენებლებით.

იმისათვის, რომ სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რეგულაციები იყოს ეფექტიანი, პირველ რიგში, საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს დახვეწილი საგადასახადო სისტემა და თავისუფალი ბიზნეს-გარემო, რათა კონპანიებმა შეძლონ მაღალი კონკურენციის პირობებში ბაზარზე ოპერირება. სახელმწიფოს მხრიდან გატარებული რეგულაციები მიმართული უნდა იყოს მონოპოლიების წინააღმდეგ და საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზაციისკენ, რათა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა იყოს შესაძლებელი.[11]

[11]https://moambe.atsu.edu.ge/edition/gamocema5/149--.html

1.2 ეკონომიკური ზრდის მაკროეკონომიკური თეორიები

არსებობს ეკონომიკური ზრდის მრავალი თეორია, რომლებიც სხვადასხვა ეკონომიკურ სკოლას უკავშირდება. ამ თეორიათაგან აღსანიშნავია ეკონომიკური ზრდის კეინზიანური და პოსტკეინზიანური თეორიები. ჯ. მ. კეინზმა საკუთარი ეკონომიკური შეხედულებები, მათ შორის, ეკონომიკური ზრდის შესახებ ჩამოაყალიბა ნაშრომში „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია“. ამ ნაშრომში კეინზი აღნიშნავს, რომ ის პოსტულატები, რომელიც კლასიკურ თეორიას ახასიათებს მისაღებია არა საყოველთაოდ, არამედ კერძო შემთხვევებისთვის და საერთოდ, მისი აზრით კლასიკურ ეკონომიკურ სკოლას და მის იდეოლოგიაზე დამყარებულ ეკონომიკურ პოლიტიკას არასწორი შედეგები მოყვება. კეინზმა ეკონომიკურ ზრდასთან დაკავშირებით გამოყო რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვლენოვანი ერთობლივი მოთხოვნაა (კეინზის ფორმულირებით „ეფექტიანი მოთხოვნა“). კეინზის აზრით, ეფექტიანი მოთხოვნა წარმოების მოცულობისა და დასაქმების დონის განსაზღვრაში მთავარ როლს ასრულებს. კეინზის განსაზღვრებით მთლიანად ეკონომიკაში შემოსავალი უდრის მოხმარებისა და ინსვესტიციების ჯამს, ანუ ეფექტიანს მოთხოვნას Y=C+I.

კეინზის განსაზღვრებით დანაზოგი არის „შემოსავლის ნამეტი დანახარჯებსა და მოხმარებაზე“, ხოლო ინვესტიციები მწარმოებლური მოწყობილობის ღირებულების დანამატს წარმოადგენს. სწორედ აქედან გამომდინარე ჩამოაყალიბა კეინზმა ცნობილი ტოლობები:

1. შემოსავალი ტოლია წარმოების ღირებულების, რომელიც უდრის მოხმარებას და ინვესტიციების ჯამის.
2. დანაზოგები ტოლია შემოსავლების და მოხმარების სხვაობის, რომელიც ასევე ინვესტიცების ტოლია.

კენიზის აზრით, როდესაც ინვესტიციები ზრდის მაჩვენებლით სჭარბობს დანაზოგებს, მაშინ ადგილი აქვს წარმოების ზრდას, რაც პირდაპირპროპორციულად

ზრდის შემოსავლებსაც. ეს ყველაფერი კი მოქმედებს მოთხოვნის ზრდაზე, რაც წარმოების, შემოსავლების, მოხმარებისა და დანაზოგების შემდგომი ზრდის მასტიმულირებელია.[12]

კეინზი ეფექტიანი მოთხოვნის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევაში ასევე გამოყოფს სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, ობიექტური ფაქტორებიდან გამოყოფს შემოსავლებს, ხოლო სუბიექტურიდან ადამიანის ჩვეულებებს და სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებს. კეინზის აზრით, უფრო მეტად მნიშვნელოვანი ობიექტური ფაქტორებია, კერძოდ, შემოსავალი, რომელიც დამოკიდებულია ეკონომიკაში არსებულ მთლიან დანახარჯებზე (სამომხმარებლო და საინვესტიციოზე). მოხმარება კი დამოკიდებულია მოხმარებისადმი ზღვრულ მიდრეკილებაზე. სხვა ობიექტური ფაქტორებიდან, რომლებიც მოთხოვნაზე ახდენს გავლენას, კეინზი გამოყოფს სიმდიდრეს, რომელიც დროში ცვალებადია დისკონტირებული შეფასებით და საგადასახადო პოლიტიკის ცვლილებით.[13]

კეინზი ამბობს, რომ შემოსავლების ზრდასთან ერთად ადამიანები სულ უფრო მეტს ზოგავენ (ანუ, ადგილი აქვს დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილების ზრდას). როდესაც ადგილი აქვს წარმოების და მომსახურების ზრდას, ამ დროს იზრდება მოხმარებაც, მაგრამ მოხმარების ნაზრდი სულ უფრო და უფრო მცირდება განკარგვადი შემოსავლის ნაზრდთან მიმართებაში. არის შემთხვევები, როდესაც საწარმოები ვერ ახერხებენ საკუთარი პროდუქციის მთლიანი მოცულობის რეალიზაციას, ამიტომ ისინი ამცირებენ წარმოებას და დასაქმებულთა რაოდენობას, რაც იწვევს უმუშევრობის ზრდას. დასაქმების ზრდის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კეინზი ინვესტიციებს მიიჩნევს და აქ შემოაქვს მულტიპლიკატორის ცნება, რომლის მიხედვითაც, როცა ინვესტიციების ზრდა ხდება, საერთო შემოსავალი ინვესტიციების ჯერადად იზრდება.

კეინზის კვლევის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ინვესტიციებისადმი მიდრეკილების საკითხი. აქ კეინზი გამოყოფს ორ ძირითად ფაქტორს: კაპიტალის ზღვრულ ეფექტიანობას, რომელიც გარკვეულწილად ინვესტიციებიდან გათვალისწინებული შემოსავალია, ხოლო მეორე ფაქტორი საპროცენტო განაკვეთია. კეინზი ხაზს უსვამს იმას, რომ ინვესტირებაზე გადაწყვეტილება ძირითადად ამ ორი ცვლადის ერთმანეთის შედარების შედეგზეა დამოკიდებული. ინვესტიცია ხორციელდება

[12]მექვაბიშვილიე., თანამედროვეეკონომიკურითეორიები, თბილისი, 2016, გვ 8-17.
[13]მექვაბიშვილიე., თანამედროვეეკონომიკურითეორიები, თბილისი, 2016, გვ 8-17.

მაშინ, როცა კაპიტალის ზღვრული ეფექტიანობა აღემატება რეალურ საპროცენტო განაკვეთს.

ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კეინზი თვლის ტექნოლოგიურ პროგრესს და მასზე დამყარებულ პროგნოზებს, რომლის მეშვეობითაც ქვეყნებს შეუძლიათ ეკონომიკური ზრდის მიღწევა მცირე დროში ნაკლები დანახარჯებით.

კეინზი საუბრობს საპროცენტო განაკვეთზე, სადაც ის მკვეთრად ემიჯნება კლასიკოსებს, რომლებიც საპროცენტო განაკვეთს წონასწორობის ფაქტორად მიიჩნევდნენ, რომელიც დანაზოგებზე მოთხოვნას და მიწოდებას აბალანსებს. კეინზს შემოაქვს ლიკვიდობისადმი უპირატესობის მინიჭების ცნება და ასახელებს მის სამ მოტივს: სავაჭრო ოპერაციებს, სიფრთხილეს და სპეკულაციებს. პირველი და მეორე მოტივისთვის საჭირო ფულის მოცულობა დამოკიდებულია ეკონომიკურ საქმიანობაზე და არსებულ შემოსავლებზე, ხოლო სპეკულაციებს საპროცენტო განაკვეთები განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე, საპროცენტო განაკვეთი გავლენას ახდენს ეკონომიკურ საქმიანობაზე, რადგან ძირითადად იგი ფულზე მოთხოვნის განმსაზღვრელია. თუ სახელმწიფო გაზრდის ფულის მიწოდებას, ამით იგი შეამცირებს საპროცენტო განაკვეთს და გაზრდის ინვესტიციებს.

მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც კეინზი ყურადღებას ამახვილებს, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევაა. კეინზი ამბობდა, რომ მოხმარების შემიცირება ინვესტიციების შემცირებას გამოიწვევს და საბოლოოდ, ეს შეამცირებს დანაზოგებს. კეინზის მტკიცებით აუცილებელია ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის უთანაბრობის შემცირება, რადგან იმ ადამიანებს, რომლებსაც მაღალი შემოსავლები აქვთ, უფრო დიდი დანაზოგების მფლობელები არიან. კეინზი თვლის, რომ შემოსავლების განაწილებას შეუძლია მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილების ამაღლება. თუ სახელმწიფო ამცირებს საპროცენტო განაკვეთს, ეს გარკვეული დროის შემდეგ გამოიწვევს უქმი კაპიტალის ეკონომიკაში ჩართვას. კეინზის აზრით, ეკონომიკაში სახელმწიფო ასეთი ჩარევა გამართლებული და აუცილებელია.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კეინზის მთავარ იდეას წარმოადგენს ერთობლივი მოთხოვნის საერთო სტიმულირების გზით წარმოებაზე, საქონლისა და

მომსახურების მიწოდებაზე გავლენის მოხდენა. წარმოების გაფართოების მოტივით აუცილებელია ასევე ინვესტიციების ზრდისადმი მაქსიმალური ხელშეწყობა, რადგან რაც უფრო მაღალია მათი მომგებიანობა და მოსალოდნელი შემოსავალი, მით უფრო დიდია წარმოების მოცულობა და მასშტაბები, ასევე ეროვნული შემოსავალი. სახელმწიფოს ფუნქციაა იმოქმედოს ინვესტიციებზე საპროცენტო განაკვეთის შემცირებით. ეს ითვალისწინებს სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში, რადგან, მისი აზრთით,ე.წ. თვითრეგულირებადი საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს შესაბამის ეკონიმიკურ ზრდას და ამისათვის საჭიროა გარედან ჩარევა და ეს ფუნქცია სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

კენზის თეორიით, დასაქმებისა და წარმოების რაოდენობა განისაზღვრება გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფაქტორებით და არა მიწოდებით, ამიტომ, მთავარი აქცენტები გადატანილია მოთხოვნაზე და მასზე მოქმედ ფაქტორებზე. ერთობლივი მოთხოვნა წარმოადგენს ეროვნული წარმოების რეალურ მოცულობას, რომლის შეძენაც სახელმწიფოს, შინამეურნეობებს და კერძო საწარმოებს შეუძლიათ. მაგრამ ერთობლივი მოთხოვნის ზრდას ისეთი სხვადასხვა ფაქტორები აფერხებს, როგორიცაა მომხმარებელთა ფსიქოლოგია და კაპიტალდაბანდების ეფექტიანობის შემცირება.

როგორც აღვნიშნეთ, ინვესტიციების ზრდის მთავარ ფაქტორად კეინზი მიუთითებს საპროცენტო განაკვეთის დაწევაზე, რაც ზრდის მოსალოდნელ მომგებიანობას და კაპიტალის ზღვრულ ეფექტიანობას. თუმცა, კეინზიანური რეცეპტებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მეტი პასუხისმგებლობის აღება პირდაპირ ინვსტიციებზე, რაც სახელმწიფო დანახარჯების, ინვესტიციებისა და საქონლის შესყიდვის გზით უნდა იქნეს მიღწეული. შემოსავლების გადანაწილება ემსახურება იმას, რომ მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა უნდა გაიზარდოს. ამ ყველაფრის შედეგი კი კეინზის აზრით წარმოების ზრდა და მეტი სამუშაო ადგილები იქნება, რაც საბოლოოდ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება.[14]

პოსტკეინზიანურ ეკონომიკური ზრდის მოდელებში ეკონომიკური საქმიანობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს ეფექტიანი მოთხოვნა წარმოადგენს, რომელიც უარყოფს

[14] ვეშაპიძე შ. „ეკონომიკის საფუძვლები“,დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია, თბილისი 2015, გვ.320-323.

მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს. ამ შეხედულების მიხედვით, სოციალური ურთიერთქმედება წარმოშობს განსხვავებულ სისტემურ თვისებებს მაკროეკონომიკურ დონეზე. მაგალითად, თუ ყველა ადამიანი შეეცდება დანაზოგების ზრდას ერთდოულად, მაშინ ერთობლივი დანაზოგები შეიძლება შემცირდეს. ამის მიზეზია ის, რომ დაზოგვისადმი მიდრეკილების ზრდა ამცირებს სამომხმარებლო ხარჯებს, ეს უკანასკნელი კი უარყოფითად მოქმედებს საინვესტიციო ხარჯებზე და მთლიანად ერთობლივ მოთხოვნაზე. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება კი ამცირებს წარმოების მოცულობას, რეალურ შემოსავლებს და ამ უკანასკნელის საფუძველზე - ეროვნულ დანაზოგებს. ამას დაზოგვის პარადოქსი ეწოდება.

ეფექტიანი მოთხოვნის პრინციპიდან გამომდინარე, ეკონომიკური საქმიანობა უპირატესად ხარჯვითი გადაწყვეტილებებით არის განპირობებული, კერძოდ ინვესტიცია შეიძლება ჩაითვალოს მოთხოვნის და დასაქმების ძირითად განმსაზღვრელად. ნეოკლასიკური შეხედულებებისგან განსხვავებით, ინვესტიცია არ იზღუდება დანაზოგების ხელმისაწვდომობით, მაგრამ ის შეიძლება შეიზღუდოს საკრედიტო რესურსების დეფიციტით.

პოსტკეინზიანური ეკონომიკური ზრდის მოდელებში განხილულია ეკონომიკური პირობების კეინზიანური წინაპირობები გრძელვადიანი პერიოდისთვის. პოსტკეინზიანური მოდელების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ წარმოების ტექნოლოგია წარმოდგენილია ლეონტიევის საწარმოო ფუნქციით.

$$Y = \min(qN, \sigma K)$$

სადაც q და σ შესაბამისად, შრომისა (N) და კაპიტალის (K) საშუალოა მწარმოებლურობებია.

თუ $q\mathrm{N} < \sigma\mathrm{K}$, მაშინ არსებობს ჭარბი საწარმოო სიმძლავრეები, ხოლო როცა $q\mathrm{N} > \sigma\mathrm{K}$, მაშინ ადგილი აქვს ფარულ უმუშევრობას. წარმოების ორივე ფაქტორი სრულად იქნება გამოყენებული მაშინ, როდესაც $q\mathrm{N} = \sigma\mathrm{K}$. აქედან, $\mathrm{K}/\mathrm{N} = q/\sigma$ - არის შრომის ტექნოლოგიურად ოპტიმალური კაპიტალშეიარაღება. ფარული უმუშევრობის არსებობის შემთხვევაში გამოშვება შეიძლება გავზარდოთ გამოსაყენებელი კაპიტალის მოცულობის

გაზრდით, ხოლო ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების შემთხვევაში - დამატებითი შრომის მოზიდვის ხარჯზე.

ეკონომიკური ზრდის ნეოკეინზიანურ თეორიებიდან ცნობილია როი ჰაროდისა და ევსეი დომარის მოდელები.

როი ჰაროდმა შეიმუშავა ეკონომიკური ზრდის მოდელი, სადაც ინვესტიციების ეგზოგენური ფუნქციის ნაცვლად ენდოგენური ფუნქცია გამოიყენა.

$$I_t = v(Y_t - Y_{t-1}), \text{სადაც } v \text{ აქსელერატორია.}$$

აქსელერატორის პრინციპის თანახმად, შემოსავლის ნებისმიერი ზრდა, ზრდის კაპიტალდაბანდებას და პირიქით. ჰაროდი ერთობლივი მოთხოვნის განსაზღვრისთვის იყენებს აქსელერატორის მოდელს შემდეგი პირობით $I = S$. იმისათვის, რომ ეკონომიკა წონასწორულად გაიზარდოს, საჭიროა ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ტოლობა.

$$\frac{v}{s}\left(\frac{Y_t - Y_{t-1}}{Y_{t-1}}\right) = \alpha\left(\frac{Y_{t-1} - Y_{t-2}}{Y_{t-2}}\right) + 1.$$

ჰაროდმა ასევე განმარტა გარანტირებული, ბუნებრივი და ფაქტობრივი ზრდის ტემპები. გარანტირებული ზრდის ტემპი წარმოადგენს სიტუაციას, რომლის დროსაც ყველა დანაზოგის ინვესტირება ხდება.„გარანტირებული“ ზრდის ტემპის გარდა ჰაროდს შემოაქვს „ბუნებრივი“ ზრდის ტემპის ცნება. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთი ტემპის არსებობას, რომელიც მიიღწევა აქტიური მოსახლეობისა და ტექნოლოგიური პროგრესის სრულად გამოყენების პირობებში. ასეთი ტემპის დროს მიიღწევა ფაქტორების (შრომა, კაპიტალი) სრული დასაქმება.

ფაქტობრივი ზრდის ტემპი ასევე შეიძლება „გარანტირებულის“ ტოლი იყოს, მაშინ ეკონომიკა განვითარდება დინამიური წონასწორობის პირობებში, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს მეწარმეებს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება „გარდაუვალ უმუშევრობას“.

ეკონომიკური სისტემის იდეალური განვითარება მიიღწევა „გარანტირებული“, „ბუნებრივი“ და ფაქტობრივი ზრდის ტემპებისა და რესურსების სრული გამოყენების პირობებში.

ფაქტობრივი ზრდის ტემპი და გარანტირებული ზრდის ტემპი შესაძლოა ტოლიც იყოს, მაშინ ეკონომიკას აქვს შესაძლებლობა დინამიური წონასწორობის პირობებში განვითარდეს, ხოლო ეკონომიკური სისტემების იდეალური განვითარება გარანტირებული და ფაქტობრივი ზრდის ტემპების სრული გამოყენებით მიიღწევა.

ჰაროდის მოდელმა გამოავლინა 2 ძირითადი პრობლემა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ზრდის ტემპებით. პირველი პრობლემა იყო ის, რომ ფაქტობრივი ზრდა განისაზღვრა დაზოგვის ტემპით, ხოლო ბუნებრივი ზრდა განისაზღრა სამუშაო ძალის ზრდით. ასევე არ არსებობდა ფაქტობრივი ზრდის საფუძვლები, ამიტომ ეკონომიკას არ გააჩნდა თანდაყოლილი ტენდენცია, რომელსაც სრული დასაქმება უნდა გამოეწვია. ჰაროდის მოსაზრებით, პრობლემის არსი მდგომარეობდა იმაში,რომ ხელფასის განაკვეთი იყო ფიქსირებული, ხოლო ეკონომიკას შრომა და კაპიტალი იგივე პროპორციებით უნდა გამოეყენებინა. თუმცა ჰაროდის ამ მოსაზრებას ეკონომისტების უმრავლესობა არ ეთანხმება, რადგან ეკონომისტთა უმრავლესობა თანხმდება, რომ შრომისა და კაპიტალის თანაფარდობა, რომლის გამოყენებაც ბიზნეს სურს, დამოკიდებულია ხელფასის განაკვეთზე და კაპიტალის ფასზე, ამიტომ, ჰაროდის მიერ დასახელებული პრობლემა, მათი აზრით პრობლემას არ წარმოადგენს.

მეორე პრობლემა, რომელიც ჰაროდის მოდელმა გამოიწვია, არასტაბილური ზრდა იყო. თუ კომპანიები დაარეგულირებენ ინვესტიციას იმის მიხედვით, თუ რას ელოდნენ მომავალი მოთხოვნისგან, ხოლო მოსალოდნელი მოთხოვნა ფაქტობრივის ტოლი იყო, გარანტირებული ზრდა ტოლფასი იქნებოდა ფაქტობრივი ზრდის. მაგრამ თუ რეალურმა მოთხოვნამ გადააჭარბა მოსალოდნელ მოთხოვნას, ისინი მათ მიერ განხორციელებულ ინვესტიციებს, კვლავ ინვესტიციების განხორციელებით გამოეხმაურებოდნენ. ამასთან, ეს ინვესტიცია თავისთავად გამოიწვევს ზრდას, რაც კიდევ უფრო მეტ ინვესტიციას მოითხოვს და ა.შ.. შედეგი იქნება ბუმი.

საპირისპირო მოვლენას ექნება ადგილი, თუ ფაქტობრივი მოთხოვნა ნაკლები აღმოჩნდება მოსალოდნელ მოთხოვნასთან შედარებით. ამის შედეგი იქნება ზრდის შენელება.[15]

XX საუკუნის 40-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა ევსეი დომარის ეკონომიკური ზრდის მოდელს.დომარის მოდელში განხილულია შრომის ბაზარზე არსებული ჭარბი მიწოდება, რაც ფასების დონის მუდმივობას უზრუნველყოფს.მოდელში ყურადღება მახვილდება კაპიტალზე, მის ზღვრულ მწარმოებლურობაზე. ასევე ნაგულისხმევია, რომ კაპიტალის გამოდევნას ადგილი არ აქვს, ხოლო დამოკიდებულება K/Y და დაზოგვის ნორმა არ იცვლება.

დომარი მოთხოვნის ნაზრდს წარმოგვიდგენს შემდეგი ფორმულით:

$$\Delta Y_{AD} = \Delta I \times m = \Delta I \times \frac{1}{1-b} = \Delta I \times \frac{1}{s} = \frac{\Delta I}{s}$$

სადაც,

m- დანახარჯების მულტიპლიკატორია,

b- მოხმარებისადმი ზღვრული მიდრეკილება,

s- დაზოგვისადმი ზღვრული მიდრეკილება.

დომარის თეორიის მიხედვით არსებობს რეალური შემოსავლის ზრდის ტემპი, რომლის დროსაც ყველა არსებული სიმძლავრის მაქსიმალური ათვისება ხდება. ის კაპიტალის ზღვრული მწარმოებლურობისა და დაზოგვის ნორმის პირდაპირპროპორ-ციულია, ანუ ინვესტიციების და შემოსავლების ზრდას ერთნაირი ტემპი გააჩნია.

თავისი მოდელის ასაგებად დომარმა გამოიყენა სამი განტოლება:

მიწოდების განტოლება: $\Delta Y_{AS} = \alpha \times \Delta K$

მოთხოვნის განტოლება: $\Delta Y_{AD} = \Delta I/s$

წონასწორობის განტოლება: $\Delta I/s = I\alpha$, საიდანაც $\Delta I/I = \alpha s$.

დომარის მოდელს თავიდანვე არ ჰქონდა პრეტენზია ეკონომიკური ზრდის მოდელად ჩამოყალიბებულიყო: ეს იყო მცდელობა უფრო ფართოდ ყოფილიყო

[15]https://www.econlib.org/library/Enc/bios/Harrod.html

წარმოდგენილი კეინზიანური მოკლევადიანი წონასწორობა ხანგრძლივ პერიოდზე გათვლით და თვალსაჩინო ყოფილიყო ის, თუ როგორი იქნებოდა ეს პირობები განვითარებადი სისტემებისთვის.

დომარი ცდილობს თავის მოდელში გაითვალისწინოს ბაზრის ცვალებადი ტევადობა გაფართოვებული კვლავწარმოების პირობებში. იგი ხაზს უსვამს იმას, რომ დინამიური წონასწორობა არამყარია და ამიტომ, აუცილებელია ეკონომიკური ზრდის სახელმწიფოებრივი რეგულირება.

ეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიაა, რომელიც XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში შეიქმნა და მისი საფუძველი კეინზიანური შეხედულების კრიტიკა იყო. ნეოკლასიკური თეორია არ ცდილობს მხოლოდ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფუნქციების დაკავშირებას, ის მიმდინარე შემოსავლის, როგორც მოხმარებაზე მოქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის კრიტიკაა და საკუთარი მოხმარების თეორიას ეყრდნობა.

ამ თეორიის მნიშვნელოვანი ნაწილია სოლოუს მოდელი, სადაც ძირითადად აღწერილია ის თუ რა გავლენას ახდენს მოსახლეობის ზრდა და ტექნოლოგიური პროგრესი ეკონომიკურ ზრდაზე. ეს მოდელი გარკვეულწილად ყველა ეკონომიკური კვლევის საფუძველია, რადგან ამ მოდელით ისაზღვრება ეკონომიკური ზრდის მუდმივი და დროებითი მდგრადობა, ქვეყნის ცხოვრების დონე და ის, თუ რატომ შეიძლება იყოს სხვადასხვა ქვეყნების ცხოვრების დონე განსხვავებული, რა ფაქტორები იწვევს ამას და როგორ შეიძლება ცხოვრების მაღალი დონის მიღწევა.

სოლოუ ასახელებს წარმოების ფაქტორებს: კაპიტალს- K , შრომას - L ,შრომის ეფექტიანობას -E. ეკონომიკური ზრდის პრობლემა ყველა სახელმწიფოსთვის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს. ეკონომიკური ზრდა გაიგივებულია ეკონომიკური ცხოვრების მოძრაობასთან, ის უკავშირდება ეკონომიკის ისეთ ცვლადებს, როგორიცაა ფასები, წარმოება, უმუშევრობა და სხვა.

ეკონომიკური ზრდის თეორიის მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ისეთი პრობლემატური საკითხების შესწავლა, როგორიცაა ზრდის ტენდენციები და მისი წყაროები, ზრდის გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევა, ტექნოლოგიური პოლიტიკა და

მისი შედეგები, ქვეყანაში ეკონომიკური სტრუქტურის განახლების ტემპები და შედეგების გაზომვა.

ეკონომიკური ზრდის ამსახველი ნეოკლასიკური მოდელები გარკვეულწილად საჭირო საბაზისო ინსტრუმენტებია განვითარებულ ქვეყნებში და ფართოდაა გამოყენებული ეკონომიკური ზრდის წყაროთა ემპირიულ კვლევებში.

ნეოკლასიკურ მოდელებში ძირითადად განხილულია ეკონომიკა, რომელშიც ერთადერთი, ერთგვაროვანი პროდუქტი ორი ფაქტორის: შრომისა და კაპიტალის დახმარებით იწარმოება. ამგვარ მოდელებში მოსახლეობის ზრდა განსაზღვრულია გარეშე ძალებით და ეკონომიკური ცვლადების ზემოქმედებას არაა დაქვემდებარებული.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკურ მოდელში ახალ ელემენტებად განხილულია კაპიტალი და ტექნოლოგიური განვითარება.

აღსანიშნავია ის, რომ თანამედროვე კონკურენციის პირობებში, წარმოების ფაქტორების როლს ასრულებენ მათ მიერ ნაწარმოები პროდუქტისადა შემოსავლების ნაწილებიც. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური ზრდის ტენდენციების ანალიზისათვის მიზანშეწონილია საწარმოო ფუნქციის აპარატის გამოყენება. სწორედ ამგვარი ფუნქცია წარმოადგენს ფუნდამენტს ნეოკლასიკური მიმართულების მაკროეკონომიკაში.

ეკონომიკური ზრდის თეორიის ნეოკლასიკური მიმართულების ლიდერი როგორც უკვე ვახსენეთ რობერტ სოლოუა, რომელმაც ეკონომიკური ზრდის თეორიაში შეტანილი წვლილისთვის ნობელის პრემია დაიმსახურა 1987 წელს. სოლოუმ 1956 წელს გამოაქვეყნა სპეციალური სტატია, რომელშიც განხილული იყო ეკონომიკური ზრდის მარტივი მოდელი.

ნეოკლასიკური ზრდის მოდელი ჰაროდ-დომარის მოდელის განვრცობილი თეორიაა,სადაც ახალი ტერმინი - მწარმოებლურობის ზრდაა გამოყენებული. სოლოუმ განავრცო შემდეგი საკითხები:

- ✓ მასშტაბის ეფექტიანობა განიხილა, როგორც კაპიტალის, ისე მუშახელის მიმართ, რის საფუძველზეც განმარტა კლებადი უკუგება.
- ✓ მუშახელი დაამატა მამოძრავებელ ძალად, ხოლო ტექნოლოგია განიხილა კაპიტალისა და მუშახელისგან დამოუკიდებლად.

სოლოუს მოდელი შეიცავს 5 განტოლებას ხუთი უცნობით.

1) ეროვნული პროდუქტის მოცულობა(Z)
2) არაწარმოებრივი მოხმარების ფონდი (X_e)
3) დაგროვების საერთო ფონდი (U_S)
4) არსებული ძირითადი კაპიტალის მოცულობა (V_K)
5) ფაქტობრივი შრომითი რესურსები (F_L)

სოლოუს მოდელში შემავალ განტოლებებს შემდეგი სახე ექნება:

$$Z = f(V_K, F_L)$$

$$Z = X_C + U_S$$

$$U_S = sZ \qquad 0 < s < 1 = const$$

$$U_S = V_K + \eta V_K \qquad 0 < \eta < 1 = const$$

$$\mathrm{F_L} = \mathrm{e} \,.\, \mathrm{F_L} \qquad \mathrm{e} = \mathrm{const}$$

სადაც,

s- დაგროვების ნორმაა, η- მუდმივი კოეფიციენტი, V_K-კაპიტალის წმინდა ნაზრდი $V_K = \frac{dV_K}{dt}$, F_L- სამუშაო ძალის ნაზრდი $F_L = \frac{dF_L}{dt}$, e- სამუშაო ძალის ნაზრდი.

სოლოუს მოდელით შეგვიძლია გავაანალიზოთ კაპიტალისა დამოსახლეობის ზრდის, ტექნოლოგიური პროგრესის ურთიერთქმედება. ამ მოდელის მიხედვით შესაძლებელი ხდება განისაზღვროს მაკროეკონომიკური ტენდენცია.[16]

საინტერესო საკითხია როგორ შედეგებს მივიღებთ, თუ სოლოუს მოდელში ტექნოლოგიურ პროგრესს ჩავრთავთ და გავაანალიზებთ. იმისათვის, რომ მოდელში ტექნოლოგიური პროგრესი ჩავრთოთ, საჭიროა საწარმოო ფუნქციაში, სადაც წარმოების მოცულობა Y დამოკიდებულია კაპიტალზე- K და შრომის დანახარჯებზე- L , უნდა შემოვიტანოთ მომუშავის შრომის ეფექტიანობა E. ამ შემთხვევაში, საწარმოო ფუნქციას შემდეგი სახე ექნება:

$$Y = F(K, LE)$$

[16] ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ., მაკროეკონომიკური რეგულირების მოდელები და მეთოდები, გვ. 134–139, თბილისი - 2003 წ. http://eprints.tsu.ge/375/1/ananiashvili_makroekonomikuri.pdf

ტექნოლოგიური პროგრესი იწვევს შრომის ეფექტიანობის, E, მუდუმივი g ტემპით ზრდას. პროგრესის ზრდის ეს ფორმა შრომადამზოგველის სახელითაა ცნობილი, ხოლო g-შრომადამზოგველი ტექნოლოგიური პროგრესის ტემპია. იმის გათვალისწინებით, რომ შრომის რაოდენობა, L, იზრდება nტემპით, ხოლო ეფექტიანობა, E, - g ტემპით $(L \times E)$ გაიზრდება $(n + g)$ ტემპით.

განვიხილოთ ცხრილი, რომელიც ტექნოლოგიური პროგრესის საშუალებით აღწერს ეკონომიკური ზრდის ზოგიერთი ცვლადის კონკრეტულ ცვლილებას.

ცხრილი 1[17]

ტექნოლოგიური პროგრესის შედეგები

ცვლადები	აღნიშვნა	ზრდის ტემპი
კაპიტალის ერთეული შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით	$k = K/(EL)$	0
წარმოების მოცულობა ერთეულ შრომაზე მუდმივი ეფექტიანობით	$y = y/(EL) = f(k)$	0
წარმოების მოცულობა ერთ მუშაკზე	$Y/L = yE$	g
წარმოების ერთობლივი მოცულობა	$Y = y(EL)$	$n + g$

ამ ცხრილის გააზრების შემდეგ შეგვეძლება გავაანალიზოთ და დავასაბუთოდ, თუ რატომ იზრდება ეკონომიკა და ცხოვრების დონე წლიდან წლამდე. როგორც ვიცით, დანაზოგის მაღალ მოცულობას შეუძლია ეკონომიკური ზრდის მდგრადობის მიღწევა გარკვეულ დრომდე, ტექნოლოგიურ პროგრესს კი შეუძლია წარმოების მოცულობის ზრდას მუდმივი ხასიათი მისცეს. როდესაც ეკონომიკა მდგრად მდგომარეობას აღწევს, ერთ მუშაკზე წარმოების ზრდა ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარეზე ხდება დამოკიდებული. სოლოუს მოდელით მტკიცდება, რომ ტექნოლოგიურ პროგრესს შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრების დონის გაზრდა.

[17] ხადური ნ., მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი (ნაწილი I), თბილისი 2007, გვ. 55–57.

თავი 2. ეკონომიკური ზრდა საქართველოში

2.1. საქართველოს მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და განვითარების ტენდენციები

ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მიზანი სტაბილური ეკონომიკური ზრდის მიღწევაა. ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში უმთავრესი მიზანი სტაბილური ეკონომიკური ზრდაა, რომლის მიღწევაც დამოუკიდებლად საბაზრო ძალებს არ შეუძლიათ, ამიტომ საჭირო ხდება მისი რეგულირება. საქართველოს ეკონომიკური განვითარება, ისევე როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკები, გლობალიზაციას უკავშირდება, ანუ ეს არის ქვეყნის ეკონომიკის ჩაბმა მსოფლიო ეკონომიკურ თანამეგობრობაში, საიდანაც შესაძლებელი ხდება ვაჭრობის გაღრმავება, მეტი ინვესტიციების მოზიდვა და ადგილობრივი ბაზრების განვითარება. გლობალიზაციის პროცესი მუდმივად იცვლება, ამიტომ საჭირო ხდება იმგვარი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მაქსიმალურად მორგებული იქნება ამ ცვალებად გარემოზე. ქვეყნაში ინვესტიციების მოსაზიდად საჭიროა ქვეყნის განვითარების ტემპიც იყოს შესაბამისი. ასევე აუცილებელია პოლიტიკური სტაბილურობა და მკაფიოდ განსაზღვრული ეკონომიკური ორიენტაცია, სხვა შემთხვევაში მსხვილი ინვესტორები და დონორები თავს იკავებენ მსხვილი ინვესტიციების განხორციელებისგან და თვალყურს ადევნებენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

როდესაც ქვეყნის გლობალიზაციის პროცესში მაქსიმალურ ჩართვაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ საქართველო ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული და საკმაოდ პატარა ქვეყანაა, ამიტომ გლობალიზაციის პროცესმა შესაძლოა მოახდინოს როგორც დადებით, ისე უარყოფითი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე, ეს ძირითადად უკავშირდება იმ პოლიტიკას, რომელსაც ქვეყანა ატარებს.

უმთავრესი დადებითი ეფექტი, რომელსაც საქართველო ამ პროცესში ჩაბმით ღებულობს, რა თქმა უნდა, ახალი გასაღების ბაზრების ათვისებაში მდგომარეობს. გლობალიზაციის პროცესის საშუალებით ქვეყანას ეძლევა შესაძლებლობა გააფართოვოს

როგორც შიდა ბაზრები, ისე ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე აითვისოს აქამდე მისთვის უცნობი უცხოური ბაზრებიც. სწორედ გასაღების ბაზრების გაფართოებას შეუძლია ხელი შეუწყოს ახალი ინვესტიციების მოზიდვას.

თუ საქართველო მოახერხებს გლობალიზაციის პროცესში აქტიურად ჩაბმას, ეს ავტომატურად გამოიწვევსქვეყნაში უფრო მეტი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ტექნოლოგიების შემოტანას, უცხოელი ინვესტორები გამოიყენებენ საქართველოს ბუნებრივ და შრომით რესურსებს, ხოლო ამის შედეგად შესაძლებელი გახდება მიღებული პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე გაყიდვა, რაც უდიდესი შემოსავლის მომტანი იქნება.

დღეისათვის საქართველოში ეკონომიკური განვითარების ეტაპი წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, რადგან, ერთის მხრივ, იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, მცირდება კრიმინალის და კონტრაბანდის რაოდენობა, მაგრამ ასევე მზარდი ხასიათი აქვს ფასების მატებას. კვლავ მაღალია უმუშევართა რაოდენობა, რომელიც კლებადი ტენდენციით არ გამოირჩევა. არ უმჯობესდება დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მდგომარეობა და კიდევ უფრო ღრმავდება უთანაბრობა საზოგადოების ფენებს შორის. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა მიგრაცია და მაღალკვალიფიცური კადრების ქვეყნიდან გადინება, რომელსაც კატასტროფული შედეგები მოაქვს დემოგრაფიული კუთხით და თავისთავად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას.

რაც შეხეება ტექნოლოგიებს, ამკუთხით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანას დიდ წილად არ გააჩნია ტექნოლოგიური დამოუკიდებლობა, რაზეც ეკონომიკური განვითარების დამყარებაა შესაძლებელი და ქვეყანა იძულებულია საწარმოო საშუალებები სხვა ქვეყნებიდან შემოიტანოს. მართალია ქვეყანაში შენარჩუნებულია ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელი წინამძღვრები, მაგრამ ქვეყანა სულ უფრო მეტ სამეცინიერო-ტექნიკურ ზარალს განიცდის. თუმცა ქვეყანაში არსებული ტექნოლოგიური მარაგები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

იმისათვის, რომ საქართველომ შეძლოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, აუცილებელია მაქსიმალურად ავითვისოთ ყველა არსებული საშუალება, როგორც საშინაო, ისე საგარეო, რომელიც ეკონომიკას მაქსიმალურად მოკლე დროში გააჯანსაღებს. უმთავრეს საკითხებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მეწარმეობის მაქსიმალური

ხელშეწყობა, საბიუჯეტო სახსრების მაქსიმალურად ეფექტიანი გამოყენება და რაც ყველაზე მთავარია სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენს, რასაც ქვეყნის ეკონომიკური ზრდის დაჩქარება შეუძლია.

ზოგადად ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ეკონომიკური საქმიანობის რაოდენობრივი მახასიათებლები იცვლება, აქედან გამომდინარე, ის მოიცავს ეკონომიკურ ზრდას მეურნეობაში, წარმოებაში და წარმოებული პროდუქციის ხარისხში, სწორედ ამიტომ ეკონომიკური განვითარება წარმოებული საქონლისა და მომსახურობის მოცულობით გამოიხატება.

იმისათვის, რომ ქვეყანაში მოხდეს ეკონომიკური ზრდის შეფასება, საჭიროა ძირითადი კომპონენტების გამოყოფა:

ცხრილი 2[18]

ეკონომიკური ზრდის შეფასების ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებლები
ადამიანის განვითარების ინდექსი
სიღარიბის დონე და მოსახლეობის ზრდის ტემპი
განათლებაზე გაღებული რესურსი მშპ-ში
ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი
მშპ-ს მოცულობა და ზრდის ტემპი
ქვეყნის კონკურენტუნარიანობა
შრომის მწარმოებლურობა
დანაზოგის წილი მშპ-ში
თავისუფლების ინდექსი
ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში

იმისათვის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა შევაფასოთ, საჭიროა მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპის და მისი შედეგების შეფასება, ანუ უმჯობესდება თუ არა ადამიანების ცხოვრების ხარისხი.

[18] ჭანაია მ.,ეკონომიკური და სავალუტო უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2009, გვ. 40-48.

ცხრილი3[19]

ეკონომიკური ზრდის შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებლების სისტემა

კრიტერიუმები	მაჩვენებელთა სისტემა
სოციალური განვითარება	1. ადამიანის განვითარების ინდექსი 2. სიღარიბის დონე 3. რეალური ხელფასი 4. ქალთა სშუალო ხელფასის შეფარდება მამაკაცთა ხელფასთან 5. უმუშევრობის დონე
ინტელექტუალური განვითარება	1. განათლებაზე გაწეული დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2. მეცნიერებაზე გაწეული დანახარრჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 3. უმაღლეს სკოლადამთაქვრებულთა წილი მოსახლეობის რიცხოვნობაში 4. მეცნიერების წილი დასაქმებულთა რიცხოვნობაში 5. ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი
ეკონომიკური განვითარება	1. ადამიანის განვითარების ინდექსი 2. სიღარიბის დონე 3. რეალური ხელფასი 4. ქალთა სშუალო ხელფასის შეფარდება მამაკაცთა ხელფასთან უმუშევრობის დონესთან
ინტელექტუალური განვითარება	1. განათლებაზე გაწეული დანახარჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 2. მეცნიერებაზე გაწეული დანახარრჯების წილი მთლიან შიდა პროდუქტში 3. უმაღლეს სკოლადამთაქვრებულთა წილი მოსახლეობის რიცხოვნობაში
სტრუქტურული განვითარება	1. ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში 2. უცხოური ინვესტიციების წილი მშპ-ში 3. კერძო და სახელმწიფო სექტორების წილი მშპ-ში 4. ტრანსნაციონალური კომპანიების წილი მშპ-ში

საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა, ამიტომ საერთაშორისო ბაზრებზე მიმდინარე პროცესები მასზე ძალიან ზემოქმედებს. ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა ქვეყნისთვის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა და სხვ.. ასევე მონეტარული პოლიტიკა, ინფლაცია,

[19] ჭანაია მ.,ეკონომიკური და სავალუტო უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხები, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2009, გვ. 40-48.

ეროვნული დანაზოგები და საბიუჯეტო ხარჯები ბიუჯეტის დეფიციტი და საგადასხდელო ბალანსი. განვიხილოთ თითოეულის ზეგავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

მონეტარულ პოლიტიკას საკუთარი მნიშვნელობიდან გამომდინარე შეუძლია გავლენა მოახდინოს როგორც საპროცენტო განაკვეთებსა და ფასებზე, ისე ეკონომიკური ზრდის ტემპზეც. სათანადო მონეტარული პოლიტიკა ქვეყანაში უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას, რომელიც დამყარებული იქნება ფინანსური ბაზრების სტაბილურად ფუნქციონირებაზე, სავალუტო ბაზრებზე, ფასების სტაბილურობასა და ქვეყანაში სტაბილურ საპროცენტო განაკვეთზე.

როგორც ვიცით, საქართველოში 2009 წლიდან მოქმედებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმი. ამ რეჟიმზე გადასვლამ მკვეთრად გააუმჯობესა მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტიანობა. ზოგადად ინფლაციის თარგეთირება გულისხმობს მისი მიზნობრივი მაჩვენებლის წინასწარ გაცხადებას, რათა საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მიზნობრივი დონე იყოს მიღწეული. ამ რეჟიმის ყველაზე დიდ უპირატესობას სწორედ გამჭვირვალობა დაკომუნიკაციის სიმარტივეა.[20]

როგორც ცნობილია, მაღალმა ინფლაციამ შესაძლოა ეკონომიკური ზრდის პერსპექტივა მნიშვნელოვნად დააზარალოს ქვეყანაში. სწორედ ამიტომ, საქართველოს ეროვნული ბანკი ინფლაციის თარგეთირებით ცდილობს სასურველ დონეზე შეინარჩუნოს ის. ზოგადად ფასების საერთო დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მდგომარეობაშია ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების თანაფარდობა ქვეყანაში. საქართველოს ეროვნული ბანკი დღეს სწორედ მონეტარული პოლიტიკის საშუალებით ცდილობს ზეგავლენა მოახდინოს ერთობლივ მოთხოვნაზე და რეაგირებას ახდენს მხოლოდ მოთხოვნით გამოწვეულ ინფლაციაზე.

ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ინფლაციას განსაზღვრავს, არის ინფლაციური მოლოდინები და კომუნიკაცია. იმისათვის, რომ ინფლაციური მოლოდინები არ იყოს ნეგატიური, ეროვნულ ბანკს აქვს მუდმივი კომუნიკაცია ეკონომიკურ აგენტებთან, მონეტარული პოლიტიკის შესახებ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, მონეტარული პოლიტიკა

[20] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=538

ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, თუ ეროვნული ბანკი ახერხებს ერთობლივი მოთხოვნის მართვას, მაშინ საშუალოვადიან პერიოდში სასურველი ინფლაციის მიღწევა შესაძლებელი ხდება.

ინფლაციისგან გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედებ აპირდაპირა ფერხებს ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობას. ინფლაციის შედეგად უფასურდება დანაზოგები, რომელიც ინვესტიციების წყაროა, ხოლო მაღალი ინფლაცია ხელს უშლის გრძელვადიან კაპიტალდაბანდებებს. საქართველოში ინფლაციის დინამიკა ნაჩვენებია ნახ. 4-ზე.

ნახ. 1[21]



ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია, არის მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი. საპროცენტო განაკვეთს ზოგადად შეუძლია გავლენა მოახდინოს ეკონომიკის მდგომარეობაზე, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გრაფიკი საქართველოში შემდეგნაირად გამოიყურება:

[21] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia

ნახ. 2[22]



იმისათვის, რომ ეროვნულმა ბანკმა შეძლოს საპროცენტო განაკვეთების მართვა, ის იყენებს რეფინანსირების სესხების საპროცენტო განაკვეთს. ზოგადად, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი წარმოადგენს მინიმალურ განაკვეთს, რომელსაც ეროვნული ბანკი გასცემს კომერციულ ბანკებზე.

ბოლო წლების განმავლობაში ეფექტური მონეტარული პოლიტიკის შედეგად ბაზარზე მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთების მერყეობა, რამაც გაზარდა ეროვნული ვალუტის ფულადი ბაზრის მოცულობა. ამის ხარჯზე კომერციული ბანკები უფრო ეფექტიანად მართავენ ლიკვიდობას და ეროვნული ვალუტა უფრო მეტად მიმზიდველია მათთვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი, რაც მონეტარული პოლიტიკის სწორ გატარებას მოაქვს, არის ის, რომ რეფინანსირების განაკვეთის სანდოობის ზრდასთან ერთად იზრდება ლარიზაციის მაჩვენებელი და კომერციულ ბანკებში მკვეთრად იმატა ეროვნულ ვალუტაში გაცემულმა სესხებმა ცვლადი განაკვეთით. ასევე უნდა გამოვყოთ გაცვლითი კურსის პოლიტიკის რეფორმა, რის შედეგადაც ეროვნული ბანკი ახორციელებს სავალუტო

[22]https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494&fbclid=IwAR3dQKm_7MACCehVru0GtdT06JnHs_DErQhNaqVW1h8mJGNHb4rFnBL-yDs

ინტერვენციებს სავალუტო აუქციონების მეშვეობით, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა ეროვნული ბანკის ჩარევის აუცილებლობა და მოკლევადიან პერიოდში არაპროგნოზირებადმა სავალუტო კურსმა სრულიად გაანეიტრალა სპეკულაციების შესაძლებლობა გაცვლით კურსზე.[23]

საქართველოში ეკონომიკური ზრდა დიდწილად უკავშირდება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციების მოზიდვას და მათი რეალური სექტორისკენ მიმართვას. ინვესტირება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, სამშენებლო ბიზნესი და სხვა, პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ ზრდას და ადამიანების დასაქმებას. საქართველოში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნახ. 3[24]

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
(1996-2019, მლნ ლარები)



როგორც გრაფიკიდან ჩანს, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდას მზარდი დინამიკა აქვს. ქვეყანაში წლიდან წლამდე იზრდება ინვესტორების და მოზიდული სახსრების რაოდენობა. ქვეყნისადმი ასეთი ინტერესი ძირითადად განპირობებულია მისი სტრატეგიული მდებარეობით და ბიზნესის კეთების სიმარტივით, მაგრამ საინტერესო საკითხია ის, თუ მოზიდული ინვესტიციებიდან რა რაოდენობის

[23] https://www.nbg.gov.ge/
[24] http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/1..px/table/tableViewLayout2/?rxid=37bc7cb4-99e3-4c59-b76b-ead7a3a0f4e9

სახსრებია მიმართული რეალური სექტორისკენ. მაგალითისთვის მოვიყვანოთ სამი ძირითადი სფერო, რომელშიც ინვესტირებაც ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედებს.

პირველი განვიხილოთ სამშენებლო სექტორი. როგორც ვიცით, სამშენებლო სექტორი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია. ბოლო წლების მონაცემებით ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანთა რიცხვი მუდმივად იზრდება.:

ნახ. 4[25]



სამშენებლო სექტორში განხორციელებულ ინვესტიციებს შეუძლია წაახალისოს ადგილობრივი წარმოებაც. როდესაც ქვეყანაში ეს სექტორი სწარაფი ტემპებით ვითარდება, ეს მოთხოვნას ქმნის როგორც სამშენებლო მასალების, ისე ადგილობრივ მუშახელზე, ეს ყველაფერი კი ამცირებს ქვეყნის იმპორტდამოკიდებულებას, ამიტომ, ამ სფერში შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკური ზრდის მიღწევას უფრო მეტად აადვილებს. თუ ბოლო წლების სტატისტიკას დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ქვეყანაში წლიდან წლამდე სამშენებლო სექტორში ინვესტიციების რაოდენობა მატულობს და ეს სფერო სხვა სფეროებთან შედარებით უფრო სწრაფად ვითარდება. სამშენებლო სექტორში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

[25] http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database

ნახ. 5[26]

სამშენებლო სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ ლარები)



საქართველოსათვის ეკონომიკური ზრდა დაკავშირებულია კიდევ ერთ მნიშვნელოვან სფეროსთან, როგორიც სოფლის მეურნეობაა. სოფლის მეურნეობას, საკუთარი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესწევს უნარი ქვეყნისთვის დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სფერო გახდეს. ამ სექტორის განვითარება უფრო მეტად მნიშვენლოვანია იმიტომაც, რომ საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, რის გამოც დარგის განვითარება სწრაფი ტემპებით ვერ ხერხდება.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება დიდწილად უკავშირდება ამ დარგში განხორციელებულ ინვესტიციებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი დინამიკით გამოირჩევა, მაგრამ ამ დარგში არსებული ინვესტიციების რაოდენობა ვერ უზრუნველყოფს დარგის სწრაფ განვითარებას. ინვესტიციების უმეტესი ნაწილი მიმართულია ეკონომიკის არა ფუნდამენტური რეალური სექტორისკენ, არამედ შემავსებლისკენ, მაგალითად, ტურიზმისკენ. თუ სოფლის მეურნეობაში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების დინამიკას შევხედავთ, დავინახავთ, რომ მას მზარდი ხასიათი აქვს, მაგრამ არსებული პოტენციალიდან და

[26] http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/8..px/?rxid=6a701b1c-6c06-4c24-8c4d-a6b71f2732c1

იმპორტდამოკიდებულებიდან გამომდინარე, ამ სფეროს ბევრად დიდი ინვესტიციები სჭირდება.

ნახ. 6[27]

სოფლი მეურნეობის სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ ლარები)



ბოლო და ყველაზე მნიშვნელოვანი სექტორი, სადაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართვა არის საჭირო მრეწველობის სფეროა. ამ სფეროს განვითარება საქართველოსთვის ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, ვინაიდან ეკონომიკურ ზრდაში მისი როლი ყველაზე დიდია. სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის სწორი განსაზღვრა და მისი პრაქტიკული განხორციელება ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია ეკონომიკურ ზრდაში.

ზოგადად სამრეწველო-ტექნოლოგიური პოლიტიკის განსაზღვრა ქვეყნის პოლიტიკისგან დამოუკიდებლად ვერ ხდება. სწორედ ამიტომ, დღის წესრიგში დგას საკითხი, თუ რამდენად შეძლებს საქართველოს მრეწველობა ევროპულ ბაზართან ინტეგრაციას. იმისათვის, რომ ქვეყანამ შეძლოს ამ ბაზარზე ინტეგრაცია, საჭიროა შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა ამ დარგში.

ნახ.7[28]

[27] http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/8..px/table/tableViewLayout2/?rxid=7f6b6b2f-1846-444e-84ea-40e06de1b3ad



საქართველოში ეკონომიკური ზრდის განსაზღვრისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს საბიუჯეტო ხარჯების საკითხი. ზოგადად ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის მიღწევა უფრო მეტად ადვილდება მაშინ, როდესაც ქვეყნის მთავრობა ახერხებს საბიუჯეტო ხარჯების დაბალანსებას.

ეფექტური ფისკალური პოლიტიკა, როგორც მაკროეკონომიკური სტაბილურობის ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. როდესაც ფისკალური გარემოს ანალიზს ვახდენთ, პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ფისკალური პოლიტიკის მიმართულება (ექსპანსიურია თუ შემზღუდველი) და მისი კავშირი ეკონომიკურ ციკლთან. ექსპანსიური ფისკალური პოლიტიკა ძირითადად გულისხმობს გადასახადების შემცირებას ან ხარჯვითი ნაწილის ზრდით ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. საინტერესო საკითხია, როგორ გავლენას ახდენს ფისკალური პოლიტიკის ცვლილება ეკონომიკაზე მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში. სათითაოდ გავაანალიზოთ ორივე შემთხვევა.

[28]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Turnover/turnover_by_kind_of_economic_activity.px/table/tableViewLayout2/?rxid=7afe8884-e028-49c0-b1a4-c8cf23097979

როდესაც მოკლევადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკა იცვლება ეს პირდაპირ მოქმედებს გამოშვებაზე, ერთობლივი მოთხოვნის საშუალებით. ფისკალური ექსპანსიის პირობებში იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, სტიმულია ეკონომიკური აგენტებისათვის.

გრძელვადიან პერიოდში ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიზანს სახელმწიფო ვალის მდგრადობა და სახელმწიფო დაზოგვის ნორმის სტიმულირებაა. ამ ყველაფერმა, საბოლოო ჯამში, გამოშვების ზრდა უნდა უზრუნველყოს. თუ სახელმწიფო ახერხებს ფისკალური პოლიტიკის სწორ მართვას, ეს ამცირებს კომპრომისს მოკლედვადიან და გრძელვადიან მიზნებს შორის.[29]

ნახ. 8[30]



საბიუჯეტო ხარჯები ფისკალური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. რაც უფრო მეტი თანხის დაზოგვას ახერხებს მთავრობა და ამ თანხებით მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებას, მით უფრო ადვილი ხდება ეკონომიკური ზრდის დაჩქარება ქვეყანაში. საბიუჯეტო ხარჯების მთლიანი მოცულობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ფისკალური პოლიტიკის ნაწილში ასევე უნდა აღვნიშნოთ მთლიანი საგარეო ვალის რაოდენობა და მისი ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე. საქართველოში მთლიანი

[29] http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Fiscal_Stance_and_Space.pdf
[30] https://mof.ge/biujetebis_xarjebi_funkcionalur_chrilshi

საგარეო ვალის სტატისტიკა საგადასახდელო ბალანსთანაა დაკავშირებული. საგარეო ვალი მთლიანად მოიცავს სამთავრობო სექტორს, სახელმწიფო საწარმოებს და ეროვნული ბანკის საგარეო ვალს. ასევე კერძო სექტორის საბანკო და საფინანსო სექტორის მთლიან ვალს.

ზოგადად, სახელმწიფო ვალი შედგება საშინაო და საგარეო ვალისგან, თუ ვალი აღებულია ეროვნულ ვალუტაში იგულისხმევა, რომ ქვეყანას აქვს საშინაო ვალი, უცხოურ ვალუტაში აღებული ვალი კლასიფიცირდება, როგორც საგარეო ვალი.

როდესაც ქვეყანა იღებს სახელმწიფო ვალს, ამას შეიძლება ჰქონდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. ეს, ძირითადად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად ახერხებს მთავრობა აღებული ვალის მართვას. ამ თანხების სწორი გამოყენება და, რაც მთავარია, ფისკლაური მდგრადობის შენარჩუნება შესაძლებელია ეკონომიკისთვის საკმაოდ დიდი სტიმულების წყარო გახდეს. სახელმწიფოს ვალით შეუძლია დააფინანოს ინვესტიციები, თავიდან აიცილოს გადასახადების გაზრდა და ხელი შეუწყოს დასაქმებას. ეს ყველაფერი, საბოლოო ჯამში, გავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე ქვეყანაში. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ვერ ახერხებს აღებული ვალის ეფექტურ მართვას, მაშინ ქვეყანა მიდის მძიმე მდგომარეობამდე, მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი და ქვეყანა განიცდის რეგრესს.

სახელმწიფო ვალის აღება შესაძლებელია მოხდეს ეროვნულ ვალუტაშიც. იმისათვის, რომ ქვეყანამ სახელმწიფო ვალი აიღოს, ის უშვებს სავალო ფასიან ქაღალდებს და ობლიგაციებს. ზოგადად, სახელმწიფო ვალი განიხილება, როგორც ბიუჯეტის დეფიციტის ნაწილი, რისი მეშვეობითაც ხდება ერთობლივი მოთხოვნის წახალისება.

ეროვნული ბანკის სტატისტიკის მიხედვით საქართველოში 2019 წლის მონაცენებით საგარეო ვალის მთლიანი ოდენობა 18.6 მლრდ აშშ დოლარია, რაც ამავე წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 113.2%-ია.[31]

საქართველოში სახელმწიფო ვალის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

[31] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3895

ნახ. 9[32]



საქართველოს მაგალითზე ჩატარებულმა კვლევამ საბოლოო ჯამში აჩვენა, რომ ძირითადად საქართველოს სახელმწიფო ვალი ყველა ინდიკატორის გათვალისწიებით ნორმის ფარგლებშია, მაგრამ საყურადღებო საკითხია ის, რომ მისი დინამიკა უარყოფითი ხასიათისაა, ანუ სახელმწიფო ვალი წლიდან წლამდე ზრდადია. ასევე არსებობს განსხვავებები გაანგარიშების მეთოდოლოგიაშიც, კერძოდ ის მეთოდოლოგია, რომელიც საქართველოში გამოიყენება ვალის დაანგარიშებისთვის, შესაბამისობაში ვერ მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოში საერთაშორისო პრაქტიკისგან განსხვავებით, სახელმწიფო საწარმოების ვალები მთლიან ვალში არ გაითვალისწინება.[33]

ნახ. 10[34]

სამთავრობო ვალის სტრუქტურა და საპროცენტო განაკვეთი (%)

[32] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494
[33]https://www.transparency.ge/sites/default/files/saxelmcipo-valis-agricxvis-metodologia-saertashoriso-standartebs-ar-sheesabameba.pdf
[34]https://mof.ge/saxelmwifo_vali



საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული დანაზოგების დონე. როდესაც ეროვნული დანაზოგების დონე დაბალია ქვეყანში, მაშინ ვერ ხერხდება შიდა რესურსების შესაბამისი ინვესტირება. იმისათვის, რომ ქვეყანას ჰქონდეს მდგრადი ეკონომიკური ზრდის ტემპი, ყოველწლიურად ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების რაოდენობა დაახლოებით 30% მაინც უნდა იყოს, ამის გაკეთება კი მხოლოდ უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ვერ ხერხდება და საჭირო ხდება ეროვნული დანაზოგების მობილიზაცია. საქართველოში დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა, ქვეყანა ძირითადად ვერ ახერხებს საჭირო დანაზოგების მობილიზებას, ამ სხვაობის დასაფინანსებლად კი საჭიროა სახელმწიფომ განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები, რადგან საერთაშორსო მოწყვლადობის შესასუსტებლად მთავარი აქცენტი ეროვნულ დანაზოგებზე კეთდება.

იმისათვის, რომ ქვეყანაში ეროვნული დანაზოგები გაიზარდოს, აუცილებელია სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო. პირველ რიგში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უკვე არსებული დანაზოგების მსყიდველუნარიონობის მაქსიმალური შენარჩუნება და ეფექტური მარეგულირებელი საშუალებები ფინანსური სექტორისთვის.

ზოგადად დანაზოგები შედგება სახელმწიფო და კერძო დანაზოგებისგან, ამიტომ ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობისთვის ორივე კომპონენტზე ზრუნვაა საჭირო. სახელმწიფო დანაზოგების ზრდის მისაღწევად მთავრობას გააჩნია სხვადასხვა ბერკეტი, ერთ-ერთი მათგანია ფისკალური კონსოლიდაცია, ანუ მდგრადი კლებადი დეფიციტის უზრუნველყოფით დანაზოგების მოცულობის ზრდა.

კერძო დანაზოგების ზრდისთვის ეფექტური საშუალებაა გამჭვირვალე დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, რაც ამცირებს საბანკო სისტემაში კაპიტალის განთავსების რისკებს.

საბოლოოდ, ეროვნული დანაზოგების მთავარი დანიშნულება არის ის, რომ ეკონომიკური ზრდის მისაღწევად იგი მიმართული უნდა იყოს რეალურ სექტორისკენ.[35]

ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში დანაზოგების მოცულობა კლებადი დინამიკით ხასიათდება, მაგალითად აშშ–ში წმინდა ეროვნული დანაზოგის მაჩვენებელმა 2015 წელს 3.7% შეადგინა მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი წინა წლებში 7.6 %–ზე ნაკლები არასდროს ყოფილა. დანაზოგების შემცირებას მრავალი ფაქტორი შეიძლება იწვევდეს, კერძოდ დანაზოგების მოტივები, დემოგრაფიული ფაქტორები, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, დასაქმებულთა რაოდენობა და სხვა. სწორედ ეს ფაქტორები ახდენენ გავლენას ქვეყანაში დანაზოგების სიმცირეზე და პირველ რიგში ამ ფაქტორებზე მოქმედი ბერკეტების მობილიზება ხდება საჭირო.

2014 წელს გამოქვეყნდა ანგარიში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგების რაოდენობით ოთხმოცდამეთვრამეტე ადგილს იკავებს, ადგილობრივი კაპიტალის ბაზრებზე ფინანსების ხელმისაწვდომობით კი 126–ე ადილზეა. თუ ამჟამინდელ სტატისტიკას დავეყრდნობით მთლიანი დანაზოგები მშპ–ს 15 % შეადგენს, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. დანაზოგების ერთ–ერთ წყაროს წარმოადგენს საბანკო სექტორის დეპოზიტები, რომელიც 2018 წლის მონაცემებით მშპ–ს 24%–ია მაშინ, როდესაც ეს მაჩვენებელი ლიტვაში 38%–ს, მოლდოვაში 41%–ს თურქეთში კი 50%–ს შეადგენს.

დანაზოგების ნაწილში პრობლემას წარმოადგენს, როგორც შიდა დანაზოგების სიმცირე, ისე ეროვნულ ვალუტაში ნაკლების რესურსების არსებობა, რაც მეწარმეობის განვითარების ერთ–ერთი მთავარი შემაფერხებელია ფაქტორია ქვეყანაში.

არსებობს რამდენიმე ბერკეტი, რომლის საშუალებითაც ქვეყანას შეუძლია ეროვნული დანაზოგების ზრდის სტიმულირება. ერთ–ერთი მათგანია დეპოზიტის დაზღვევის სისტემა. საერთაშორისო პრაქტიკაში ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.მისი მთავარი სარგებელი მდგომარეობს იმაში, რომ მცირდება საბანკო სისტემაში ფულის განთავსების რისკი, რაც დანაზოგების დაგროვების მასტიმულირებელია.

[35]https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

ასევე მნიშვნელოვანია ქვეყანაში გრძელვადიანი, როგორც შიდა, ისე გარე საინვესტიციო რესურსების მობილიზირება. ამისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში განვითარდეს გრძელვადიანი საინვესტიციო ინსტრუმენტები, მაგალითად ფასიანი ქაღალდები და ობლიგაციები.

2018 წელს საქართველოში განხორციელდა საპენსიო რეფორმა, რომელმაც დიდი აზრთა სხვადასხვაობა და დისკუსიები გამოიწვია. საპენსიო რეფორმის მიხედვით დასაქმებული, დამსაქმებელი და სახელმწიფო ხელფასის 2 %–ს რიცხავს საპენსიო ფონდში, სადაც აკუმულირებული თანხის მიღება პენსიაზე გასვლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობის გათვლებით ამ რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში დანაზოგების მოცულობის ზრდა და ინვესტიციების დაფინანსება, მაგრამ კაპიტალის ბაზრების განვითარებისა და კერძო დაზღვევის განვითარების გარეშე ამის გაკეთება შეუძლებელია.

საპენსიო რეფორმა შესაძლოა განვიხილოთ, როგორც ქვეყანაში დანაზოგების აკუმულირების ერთ–ერთი სახე, თუმცა ამასთან დაკავშირებით ეკონომიკის ექსპერტებში ჩამოყალიბდა განსხვავებული მოასზრებები. დარგის ექსპერტთა ნაწილი ეწინააღმდეგება ამ რეფორმას იმ არგუმენტით, რომ ეს არის კიდევ ერთი გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო აკისრებს საკუთარ მოქალაქეებს. ასევე არსებული საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საკმაოდ მაღალ წნეხს ქვეყნის ბიუჯეტისთვის საჯარო ფინანსების სექტორზე.[36]

განვიხილოთ მეთოდოლოგია, რომლის საშუალებითაც ხდება ქვეყანაში ეროვნული დანაზოგების გაანგარიშება. საწყის ინდიკატორს ამ შემთხვევაშიც მთლიანი შიდა პროდუქტი წარმოადგენს. საქართველოში მისი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნახ. 11

მშპ-ს დინამიკა საქართველოში (2003–2019, მლნ ლარები)

[36] http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf



თუ მთლიანი შიდა პროდუქტის რაოდენობას დავუმატებთ პირველად შემოსავლებს დანარჩენი მსოფლიოდან და დავაკლებთ ამ შემოსავლების გადახდას აღებული ვალდებუბულებებისთვის, მივიღებთ მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

ნახ. 12

მთლიანი ეროვნული შემოსავალი

(2003–2019, მლნ ლარები)



მთლიანი ეროვნული შემოსავლის და ძირითადი კაპიტალის მოხმარების სხვაობით მიიღება წმინდა ეროვნული შემოსავალი.

ნახ. 13

წმინდა ეროვნული შემოსავალი (2003–2019, მლნ ლარები)



წმინდა ეროვნულ შემოსავლაზე მიმდინარე ტრანსფერების დამატებით და გადასახდელი ტრანსფერების დაკლებით ვღებულობთ წმინდა ეროვნულ განკარგვად შემოსავალს:

ნახ. 14

წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავალი (2003–2019, მლნ ლარები)



წმინდა ეროვნული განკარგვადი შემოსავლის და საბოლოო მოხმარების სხვაობით კი მიიღება წმინდა დანაზოგი:

ნახ. 14



საინტერესო საკითხია ამ წლების განმავლობაში წმინდა დანაზოგები მთლიანი შიდა პროდუქტის რამდენ პროცენტს შეადგენდა. მისი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნახ. 15



მოცემული გრაფიკიდან ნათლად ჩანს, რომ დანაზოგების წილი მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ დაბალია. განსაკუთრებული ვარდნა შენიშნება 2007–2010 წლებში. ამგვარი ვარდნა ძირითადად გამოწვეული იყო, როგორც გლობალურად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისისგან, ასევე 2008 წელს მომხდარი საომარი მოქმედებებიდან რუსეთის ფედერაციასთან, რამაც საქართველოს ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო.

2008 წლამდე წმინდა დანაზოგების რაოდენობა და მისი პროცენტული წილი მთლიან ეკონომიკაში დაბალი, მაგრამ მაინც მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო ქვეყანაში გატარებული რეფომემებით, რომელიც აადვილებდა ბიზნეს საქმიანობას. ასევე ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდა უცხოეთიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობა, რაც იწვევდა დანაზოგების ზრდასაც. ამის შედეგად 2007 წლის პირველ კვარტალში ეროვნული დანაზოგების ყველაზე დიდი რაოდენობა დაფიქსირდა.

2008 წელს მომხდარი საომარი კონფლიქტის შედეგად მიღებული მძიმე ეკონომიკური შედეგების გამოსასწორებლად ქვეყანას 3 წელი დასჭირდა. ყველა მაკროეკონომიკური პარამეტრი, მათ შორის ეროვნული დანაზოგებიც ამ პერიოდში არასასურველი დინამიკით გამოირჩეოდა. 2011 წლიდან ეროვნული დანაზოგების დინამიკა ისევ აღმავალი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა 2007 წლის მდგომარეობას ქვეყანამ 2017 წელს მიაღწია, ხოლო 2018 წლიდან გადააჭარბა კიდეც.[37]

საქართველოს ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვან ფაქტორია ბიუჯეტის დეფიციტის საკითხი. ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს ხარჯების გადამეტებას შემოსავლებზე. როდესაც ქვეყანას გააჩნია დეფიციტიური ბიუჯეტი, პირველ რიგში ხდება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. ბიუჯეტის დაბალანსებლად კი საჭიროა დადგინდეს დეფიციტის ზღვრული სიდიდე.[38]

ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებლის გამოყენება ძირითადად ხდება იმ ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად, რომელსაც მთავრობა ახორციელებს და რომელიც გავლენას ახდენს ეკონომიკურ გარემოზე. დღეისათვის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის უარყოფით სალდოს.[39]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ქვეყანაში ბიუჯეტის დეფიციტის რაოდენობა მთლიანი შიდა პროდუქტის 3%-ს არ უნდა აღემატებოდეს, თუმცა მისი რაოდენობა ძირითადად 3%-ზე მაღალია, რაც გამოწვეულია ქვეყნის მაკროეკონომიკური მაჩვენებელებით და არსებული ზრდის ტემპის დინამიკით.

---

[37] https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494&fbclid=IwAR1J6ISTjsljfnpzGoYxn-H0i-7LjBM203pnTpxYFeUz9gg4SSwRB3m8qDU
[38] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=15055
[39] http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/biujetis-deficiti.pdf

ნახ.15[40]

ბიუჯეტის დეფიციტი(%-ლად მშპ-სთან)



2008 წელს მომხდარმა საომარმა კონფილქტმა რუსეთის ფედერაციასთან ამ პარამეტრზეც მნიშვნელოვნად იმოქმედა. ამ პერიოდში ბიუჯეტის დეფიციტი 9.2%-ს შედაგენდა. სწორედ ამ პერიოდის შემდეგ მოხდა კანონმდებლობაში დეფიციტური ბიუჯეტის მაქსიმუმის განსაზღვრა, თუმცა როგორც გრაფიკიდან ჩანს 2018 წლამდე ქვეყანაში დეიფციტური ბიუჯეტი 3%-ს მუდმივად აღემატებოდა, მისი დაფინანსება კი ვალების აღების ხარჯზე წარმოუდგენელია. სწორედ დეფიციტური ბიუჯეტი წარმოადგენს მზარდი რაოდენობის საგარეო ვალის არსებობის და ეროვნული დანაზოგების დაბალი დონის გამომწვევ ერთ-ერთ მთავარ მიზეზს ქვეყანაში. მთავრობის მიმდინარე წლის სტატეგიით კი ამ ვალის მკვეთრი ზრდა ისევ მოასალოდნელია.[41]

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით 2020 წლის ბოლოსთვის იგეგმება ბიუჯეტის დეფიციტის 2.7%- მდე შემცირება. 2021 წლისთვის საპროგნოზე მაჩვენებელი 2.4%-ს შედაგენს, ხოლო 2022 წელს დეფიციტი 2.3% უნდა იყოს. თავისთავად ეს მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაუნჯობესებულია და ჯდება კანონით განსაზღვრულ ჩარჩოში.

როდესაც ეკონომიკურ ზრდაზე ვსაუბრობთ მნიშვნელოვანია შევეხოთ საგადასახდელო ბალანსის საკითხსაც. საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც ასახავს საქართველოსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის არსებულ

[40] https://mof.ge/biujetis_deficiti
[41] https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/Fiscal%20Governance%20%20study%20GEO%20saboloo.pdf

ეკონომიკურ ურთიერთობებს. საგადასახდელო ბალანსი ძირითადად ორი ნაწილისგან შედგება: მიმდინარე ანაგარიშის, რომელიც გულისხმობს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას და კაპიტალის ანგარიშისგან. საგადასახდელო ბალანსი დეფიციტურია მაშინ როდესაც საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავლები ნაკლებია ქვეყნის ხარჯებზე, ამ თანხის დაფინანსება კი ისევ და ისევ ვალის აღების ხარჯზე ხდება.

საქართველოს მიმდინარე ანგარიში უკვე დიდი ხანია დეფიციტური აქვს. ამგავრი სიტუაციაში ბევრი განვითვითარებული ქვეყანა იმყოფება და ეს ეკონომიკაში მართვადი პროცესია. დადებითი საგადასხდელო ბალანსით ძირითადად გამოირჩევიან ისეთი ქვეყნები, რომლებსაც მდიდარი ბუნებრივი რესურსები და მაღალგანვითარებული მრეწველობა გააჩნიათ. ანუ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ქვეყნისთვის ნორმალური პროცესია, აქ უფრო მეტად საინტერესოა ის თუ როგორ ხდება ამ დეფიციტის დაფინანსება. თუ დეფიციტის დაფინენასება ინვესტიციების საშუალებით ხდება ეს ეკონომიკისთვის უფრო მეტად სასარგებლოა ვიდრე საზიანო, მაგრამ საქართველოს მაგალითზე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამ დეფიციტის დაფინანსება, არა ინვესტიციების, არამედ ვალის აღების ხარჯზე ხდება. სწორედ ვალის მზარდი რაოდენობა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ შემაფერხებელ ფაქტორს. საგარეო ვალის ჭარბი რაოდენობა, რომელიც საქართველოს დაუგროვდა ხელს უშლის ქვეყანაში ეროვნული დანაზოგების მობილიზებას და აფერხებს ზოგადად ეკონომიკას.[42]

თუ განვიხილავთ ბოლო წლების განმავლობაში ეკონომიკური ზრდის ტენდენციას, შევნიშნავთ, რომ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საკმაოდ სტაბილურია და თვიდან თვემდე მზარდი დინამიკით გამოირჩევა, მაგალითისათვის 2018 წლიდან ეკონომიკური ზრდა მზარდი ტრენდით გამოირჩევა.

ნახ. 16[43]

ეკონომიკური ზრდის ტემპები (%)

[42] https://forbes.ge/news/3926/sagadasaxdelo-balansi-gaumjobesda
[43]https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf



ნახ. 17[44]

მშპ-ის რეალური ზრდა და დეფლატორი



ქვეყნის ამგვარი ზრდის მაჩვენებელი ძირითადად გამოწვეულია ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორების მეტ-ნაკლები მდგრადობით, თუმცა რეგიონში და ზოგადად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ამ მაჩვენებლების გაუნჯობესების შესაძლებლობას იძლევა. ამ პერიოდში ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ფაქტორები სხვა წლებთან შედარებით მზარდი ტენდენციით ხასიათდება. მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა რეალურ სექტორში, ასევე მონეტარული

[44]https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf

პოლიტიკის განაკვეთი, ინფლაციის თარგეთთან ახლოს ყოფნა და ეროვნული დანაზოგების ზრდა, ეკონომიკური ზრდის ამგვარ დინამიკას განაპირობებს. ასევე ტურიზიმის სფერო, რომელშიც ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობის ინვესტიციები განხორციელდა მნიშვნელოვანი შემავსებელი ფაქტორია ეკონომიკისთვის და მისგან მიღებული შემოსავლებიც წლიდან წლამდე იზრდება

2.2 ეკონომიკური ზრდის შესაძლებლობა საქართველოში

საქართველოში დღეისათვის არსებობს ორი ძირითადი გამოწვევა, რომელიც ყველაზე პრიორიტეულია: სიღარიბის დაძლევა და უმუშევრობა. საქართველოში სიღარიბეს ორი მაჩვენებლი განისაზღვრავს, ესენია: რეგისტრირებული სიღარიბისა და ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები. ყველაზე უკეთეს სურათს რეგისტრირებული სიღარიბის მაჩვენებული ასახავს, რაც მოიცავს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც სახელმწიფო შემწეობას იღებს. 2015 წლის მაჩვენებლებით საქართველოში რეგისტრირებულმა სიღარიბის მაჩვენებლემა 10.1% შეადგინა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით კლებადი ტენდენციით გამოირჩევა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რის გამოც ეკონმიკური ზრდა სიღარიბის მაჩვენებლებზე შესაბამისად არ აისახება არის ის, რომ წინა წლებში ადგილი ჰქონდა საკმაოდ დიდ სტაგნაციას ეკონომიკის რეალურ სექტორში, მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში.[45]

[45] https://idfi.ge/ge/sdg_essay_goal_1_no_poverty

საქართველოში სიღარიბის გამომწვევი რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ რიგში ეს პრობლემა გამოწვეულია ზოგადად ქვეყანაში არსებული საერთო ეკონომიკური მდგომარეობით. ქვეყანა ვერ ახერხებს აწარმოოს შესაბამისი რაოდენობის მაღალხარისხიანი პროდუქცია, არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები და რაც ყველაზე მთავარია, ვერ ხერხდება შესაბამისი ინვესტიციების მოზიდვა და განვითარება.[46]

ძირითად მიზეზს, რომელსაც სიღაბის კვლავ მაღალ მაჩვენებლამდე მივყავართ ისევ ეკონომიკურ ზრდას უკავშირდება. 2017 წელს ჩატარებული იუნიცეფის კველვის მიხედვით საქართველოში არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპი ვერ უზრუნველყოფს სიღარბის დონის სწრაფ შემცირებას. ამას ემატება ინფლაციის მაღალი მაჩვენებელი სასურველთან შედარებით, რომელიც ძირითადად ისევ დაბალშემოსავლიან ოჯახებზე აისახება.[47]

მეორე მნიშვნველოვან პრობლემას როგორც უკვე ავღნიშნეთ უმუშევრობა წარმოადგენს. უმუშევრობის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე რამდენიმე ფაქტორით გამოიხტაება, მაგალითად გრძელვადან უმუშევრობას შეუძლია ქვეყანაში არსებული ადამიანური კაპიტალის მკვეთრი შემცირება, ასევე მცირდება დანაზოგების რაოდენობა, რაც ამცირებს ინვესტიციების რაოდენობასაც. ყველაზე მთავარი არის ის, რომ ეს ყველაფერი საერთო ჯამში იწვევს შემოსავლების უთანაბრობის ზრდას ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმუშევრობა ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. საინტერესო საკითხია რა პოლიტიკა უნდა იქნეს გატარებული სახელმწიფოს მხირდან უმუშევრობის აღმოსაფხვრელად. ამ შემთხვევაში მეცნიერების უმრავლეოსობა თანხმდება იმაზე, რომ საჭიროა არა ინფლაციის მაპოროვოცირებელი პოლიტიკის გატარება, არამედ ინოვაციების მეტი სტიმულირება, რამაც უნდა გაზარდოს წარმოების მოცულობა და სამუშაო ადგილების რაოდენობა.[48]

---

[46] http://www.civilin.org/pdf/Agro.pdf
[47] https://factcheck.ge/ka/story/37711-sigharibis-zrdis-realuri-mizezebi-dabali-ekonomikuri-zrda-umushevroba-samomkhmareblo-phasebis-mateba
[48] https://www.tsu.ge/science/?leng=ge&cat=jurnal&jnomeri=4&tid=21

ქვეყანაში უმუშევრობის კუთხით არსებული პრობლემები ძირითადად დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის ზომასთან და მისი ზრდის ტემპთან. მთავარ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპი არ იძლევა უმუშევრობის დონის მკვეთრად შემცირების საშუალებას. თუმცა უმუშევრობის დონის ნელი შემცირება მანიც შეინიშნება. დღეისათვის უმუშევრობის დონე ქვეყანაში 11.8 %–ს შედაგენს და კლებადი ხასიათი აქვს.[49]

მეცნიერები ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობას შორის მნიშვნელოვან კავშირს მრავალ კვლევაში გამოყოფენ. სხვადასხვა კვლევებით დასტურდება, რომ როდესაც უმუშევრობის მაჩვენებელი მის ბუნებრივ დონეს აღემატება, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის გარკვეული ნაწილი შესაძლოა დაიკარგოს, რადგან წამორმოებული პროდუქციის რაოდენობა პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკაში შრომის ძალის რაოდენობას. პროდუქციის გამოშვების რაოდენობასა და დასაქმებას შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება არსებობს, მთლიანი დასაქმება ტოლია მშრომელ ძალის და უმუშევართა რაოდენობის სხვაობის.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ეკონომიკურ ზრდასა და უმუშევრობას შორის მნიშვნელოვანი კავშირი არსებობს. არსებობს მოსასზრება იმის შესახებ, რომ ქვეყანაში უმუშევრობის დონის ერთი პროცენტული პუნქტით შესამცირებლად, საჭიროა რელური მთლიანი შიდა პროდუქტი პოტენციურთან შედარებით ოჯერ სწრაფად უნდა გაიზარდოს. ეს მოსაზრება ეკონომიკაში ოკუნის კანონის სახელით არის ცნობილი.[50]

უმუშევრობა ქვეყნის ყველა ფენაზე მოქმედებს, ამიტომ საჭირო ხდება სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ბერკეტებით მისი ბუნებრივ დონემდე შემცირება. ზოგადად არსებობს სამი სახის უმუშევრობა: ფრიქციული უმუშევრობა, რომელიც წარმოადგენს პერიოდს, რომლის დროსაც მომუშავეები უსამსახურიდ არიან. სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც წარმოადგენს სამომხმარებლოს მოთხოვნის ცვლილების შედეგად გამოწვეულ უმუშევრობას და ციკლური უმუშევრობა, რომელიც განისაზღვრება, როგორც დაქვეითების პერიოდში წარმოშობილი უმუშევრობა.

[49] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
[50] https://www.investopedia.com/articles/economics/12/okuns-law.asp

ამ პრობლემების დაძლევის და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებაა. ინკლუზიური ზრდა პირველ რიგში გულისხმობს ეკონომიკურ ზრდის მისაღწევად საზოგადოების ყველა ფენის ჩართულობას და მიღებული შედეგების მაქსიმალურად თანაბრად გადანაწილებას. ინკლუზიური ზრდა მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ქვეყანაში კვლავ ძალიან დიდია უმუშევართა რაოდენობა, ამით კი საშუალება იქმნება უმუშევარი ადამიანების ეკონომიკაში ჩართვისთვის. ამაზე მოწმობს მსოფლიო ბანკის შეფასებაც, რომლის მიხედვითაც სიღარიბის შესამცირებლად ეკონომიკური ზრდის მდგრადობა აუცილებელია. მისი ძირითადი ფუნქცია არის ის, რომ მან უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის ფართო ჩართულობა ეკონომიკურ ზრდაში. საქართველოში უმუშევრობის რაოდენობა ბოლო წლებში შემდეგნაირად გამოიყურება:

ნახ. 13[51]

უმუშევრობა საქართველოში
(ათასი კაცი)



ნახ. 14[52]

უმუშევრობის დონე საქართველოში
(%)

[51]https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba
[52]https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba



ინკლუზიურ ზრდის პოლიტიკასთან დაკავშირდებით ძირითადი მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ საჭიროა კონკრეტული პროგრამები, რომლებიც ღარიბთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ იქნება მიმართული. მაშინ, როდესაც ქვეყანაში ვითარდება ინდუსტრიული სექტორი, რომელიც სოფლის მეურნეობასთან შედარებით მეტად პროდუქტიულია, შემოსავლების არათანაბარ გადანაწილებას ვაწყდებით. ამ დროს ადგილი აქვს სოფლიდან ქალაქებში ადამიანების მიგრაციას.[53]

ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია ქვეყანა ასრულებდეს რამდენიმე წინაპირობას. უმთავრესი ამ შემთხვევაში მაკროეკონომიკური სტაბილურობა და ეფექტიანი საჯარო მმართველობის უზრუნველყოფაა.

მაკროეკონომიკურ სტაბილურობა ძირითადად გულისხმობს მაქსიმალურად ეფექტური მაკროეკონომიკური გარემოს მიღწევას, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფისკალური დისციპლინა, დაბალი უმუშევრობა, მონეტარული დამოუკიდებლობა და სტაბილური ფასები. ეფექტიან საჯარო მმართველობას კი ინკლუზიური სტარატეგიისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რადგან სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი გაძლიერება უფრო მეტად ამარტივებს დასახულ მიზანს.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს კერძო სექტორის ეფექტურობა. საქართველოს გააჩნია უდიდესი პოტენციალი

[53]https://idfi.ge/ge/what-is-inclusive-growth

კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის. ქვეყანაში ამჟამად ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენს იმ ბარიერების აღმოფხვრა, რომლებიც კონკურენციის ამაღლებას უშლიან ხელს ქვეყანაში. ასევე ისეთი სექტორის განვითარება, როგორიცაა მრეწველობა, ქვეყნის პროდუქტიულობის ზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია.

ქვეყანაში ინკლუზიური ზრდის მისაღწევად აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს არსებული საინვესტიციო და ბიზნეს გარემოს მაქსიმალური გაუმჯობესება და გახსნილობა. ეს არის ფაქტორი, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობის ზრდაზე და რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. თანამედროვე მსოფლიოში ბიზნეს მოთხოვნები სწრაფი ტემპით იცვლება, ამიტომ საჭირო ხდება მასზე მაქსიმალური მორგება და ფეხის აწყობა.[54]

ქვეყანაში ჯერ კიდევ 2004 წლიდან დაიწყო ეკონომიკის ლიბერალიზაცია და შემცირდა ბიუროკრატიული ბარიერები. ასევე მკვეთრად დაიკლო საგადასახადო ტვირთმა, დღეისათვის მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით საქართველო ბიზნესის სიმარტივის მხრივ 185-ი ქვეყნიდან მე-8 ადგილს იკავებს. თუმცა ქვეყანაში არსებობს ბევრი პრობლემა, რომელიც უკავშირდება ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფას, კომერციულ დავებს, გადახდისუნარიანობას და ბიზნესის წარმოების სხვა საკითხებს.

მნიშნელოვანი გამოწვევა, რაც ინკლუზიური ზრდის შესაძლებლობას აფერხებს, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მცირე დამატებული ღირებულებაა. ამის მთავარი მიზეზი კი დაბალი ტექნოლოგიური განვითარება და დაბალი ინოვაციებია. საქართველოს მთავრობის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში ნათლადაა გაწერილი ტექნოლოგიური განვითარების და ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც გულისხმობს კონკრეტული გრანტების გამოყოფით ამ სექტორების დახმარებას.[55]

მსოფლიო გამოცდილებით ნათლად იკვეთება, რომ ისეთი მცირე ღია ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ეკონომიკური განვითარება ყოველთვის უკავშირდება სტრუქტურულ ცვლილებებს. სტრუქტურული ცვლილებების გატარება ძირითადად გულისხმობს ეკონომიკური საქმიანობის 3 ფუნდამენტურ დარგზე:

[54]https://idfi.ge/ge/inclusive-growth-capability-approach-alternatives-georgia
[55]https://idfi.ge/ge/what-is-inclusive-growth

მრეწველობაზე, სოფლის მეურნეობასა და მომსახურებაზე გადანაწილებას. ზოგადად, ამ სამი სექტორის განვითარებას კერძო სექტორი ახდენს, თუმცა სახელმწიფოს მიერ გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შესაძლოა დააჩქაროს ან შეანელოს აღნიშნული პროცესი.

ეკონომიკურ მეცნიერებაში სამრეწველო საქმიანობა ფუნდამენტურ საკითხს წარმოადგენს, ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში მრეწველობა ეკონომიკური ზრდის ტემპს მნიშვნელოვნად განაპირობებს. არსებობს შეხედულება იმის შესახებ, რომ ამ დარგის განვითარება წარმატებით შეუძლიათ მხოლოდ მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს. მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მთავარ პრობლემად ისევ მთავრობის ეფექტიანობა და გამჭვირვალობა წარმოადგენს. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით საქართველოში მრეწველობის დარგის განვითარების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად კონკურენციის ნაკლებობა სახელდება, თუმცა ამავე ანგარიშში ხაზგასმულია მრეწველობის განვითარების პოტენციალი და არსებული ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავარი რეკომენდაცია დარგში ინვესტიციების მოზიდვას და სამართლიანი ბიზნესგარემოს შექმნით კონკურენციის ამაღლებას უკავშირდება.[56]

საქართველოში სამრეწველო საქმიანობებიდან გამოსარჩევი სფეროებია სამთომოპოვებითი მრეწველობა, ნახშირის და ლითონის მადნების მოპოვება, კვების პროდუქტების წარმოება, ტექსტილისა და ტყავის წარმოება, ასევე ხე-ტყის მოპოვება, გადამუშავება და სხვა. ზოგადად ეს სფერო ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელია ქვეყანაში, რომელსაც საკმაოდ დიდი ბრუნვის მოცულობა გააჩნია, ასევე წლიდან წლამდე მატულობს ამ სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების რაოდენობა და დასაქმებული ადამიანიების რიცხვი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიხედვით, მრეწველობის სფეროს ბრუნვის მთლიანი მოცულობა წლიდან წლამდე მზარდი დინამიკით ხასიათდება:

ნახ. 15[57]

[56]https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5d2/d86/064/5d2d86064dc7e447364112.pdf
[57]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity

მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა (მლნ ლარები)



იგივე შეიძლება ითქვას დამატებული ღირებულების რაოდენობაზე. თუ ბოლო წლების სტატისტიკას დავაკვირდებით, შევნიშნავთ, რომ დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება მუდმივად იზრდება, რაც, საბოლოო ჯამში, მიუთიტებს იმაზე, რომ დარგში განვითარების ნიშნები შეინიშნება, მაგრამ არა იმ ტემპებით, რომელიც ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია. დამატებული ღირებულების ზრდის სტატისტიკას შემდეგი სახე აქვს:

ნახ. 16[58]

დამატებული ღირებულების მოცულობა მრეწველობაში

(მლნ ლარები)



%20NACE%20rev.2__Turnover/turnover_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=aef5940f-66cb-47c8-ad9e-da6edd879929

[58]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Value%20added/Value_Added_by_Kind_of_Economic_Activity.px/?rxid=efc8ca46-97cd-47ea-bbd8-8752e22e7433

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, მრეწველობის სფეროს შესწევს უნარი ქვეყანაში ყველაზე დიდი დამსაქმებელი გახდეს. უკვე რამდენიმე ათწლეულია საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ყველაზე აქტუალური საკითხია. ქვეყანა სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, თუმცა მკვეთრი გაუმჯობესება ამ მხრივ ნაკლებად შეიმჩნევა. ამის ძირითადი ახსნა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო უცხოური ინვესტიციების მოზიდვას და მათ მიმართვას ახორციელებს არა ეკონომიკისთვის მეტად მნიშვნელოვან, მრეწველობის სფეროში, არამედ ეკონომიკისთვის შემავსებელ სფეროებში, მაგალითად ტურიზმში.

ამის მიუხედავად, მრეწველობის სექტორი მაინც რჩება ქვეყანაში ერთ-ერთ მსხვილ დამსაქმებლად, სტატისტიკის თანახმად, ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების რიცხვი, ნელი ტემპებით, მაგრამ მაინც იზრდება.

ნახ. 17[59]

მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა

(ათასი კაცი)



[59]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Number%20of%20persons%20employed/number_of_persons_employed_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=d4f90af4-db2a-4f80-a6e0-8cc4dcf8d07b

საქართველოს ეკონომიკა უკვე 20 წელია გარკვეულწილად ტრანსფორმაციის მდგომარეობაშია და ამ დროის განმავლობაში სოფლის მეურნეობა ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ნაწილად ითვლება. აგრარული სექტორის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საინტერესოა მისი სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი. აქტუალურად მიმდინარეობს სხვადასხვა დისკუსიები, როგორც სოფლის მეურენობის როლის, ისე სახელმწიფოს სტრატეგიაზე ამ მიმართულებით. ძირითადი განხილვის საკითხს წარმოადგენს იმ პოტენციალის განხილვა, რომელიც ქვეყანას გააჩნია ამ სფეროში და სოფლად წარმოებული პროდუქციის შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობა.

სოფლის მეურნეობის განვითარება და ეკონომიკაში მისი როლის ზრდის საკითხი უფრო მეტად აქტუალურია იმიტომაც, რომ დღეისათვის ქვეყანა უფრო მეტ იმპორტირებულ კვებისპროდუქტს მოიხმარს, ვიდრე აწარმოებს. სწორედ ეს ამძაფრებს დისკუსიებს იმის შესახებ,რამდენად რელევანტური იქნება სოფლის მეურნეობის უფრო მეტად წინა პლანზე წამოწევა, მასში ინვესტირება და რამდენად ეფექტურად იმოქმედებს ეს ეკონომიკურ ზრდაზე და სიღარიბის შემცირებაზე.

მეცნიერთა უმეტესობის აზრით, საქართველოში სიღარიბის დაძლევა სოფლის მეურნეობის განვითარების გარეშე ურთულესია. დისკუსიის საგანს წარმოადგენს ის, თუ რა რესურსები და ინვესტიციები იქნება საჭირო ამ დარგის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, რადგან ამ დარგის განვითარებამ შედეგად უნდა მოიტანოს როგორც ადგილობრივი ბაზარზე იმპორტირებული საქონლის ადგილობრივი საქონლით ჩანაცვლება, ისე გლობალური კონკურენციის პირობებში კონკურენტუნარიონობის ამაღლება და ექსპორტის ზრდა.

საქართველოში სოფლის მეურნეობა საკმაოდ დაბალი ტემპებით ვითარდება. ქვეყანაში ძირითადად არსებობს მცირე ზომის ფერმები,რომელთა ეფექტიანობა არც ისე მაღალია. არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი პრობელმაც, იმპორტიორების მიერ დაბალფასიანი პროდუქციით ბაზრის მომარაგება, რაც ადგილობრივი პროდუქციის განვითარებისთვის პირდაპირ მუხრუჭს წარმოადგენს. ამას ემატება დაბალი კვალიფიკაციის, ტექნოლოგიების და სხვადასხვა რესურსების ნაკლებობით გამოწვეული პრობლემები,რაც საბოლოოდ აფერხებს ამ დარგის განვითარებას.

სოფლის მეურნეობის სფერო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. აქ ძირითადად ფიგურირებენ მცირე ფერმები მცირე დივერსიფიკაციით და საექსპორტო შესაძლებლობებით. სწორედ ამიტომ განიხილება სოფლის მეურნეობა, როგორც შესაძლებლობა ამგავრი ქვეყნებისთვის,რადგან ეს ამცირებს ქვეყნის დამოკიდებულებას იმპორტზე, ანვითარებს მსხვილ ფერმებს და რაც ყველაზე მთავარია, წარმოადგენს დასაქმების დიდ სფეროს, სხვა სფეროებთან შედარებით.

სახელმწიფოსთან ერთად კერძო კაპიტალდაბანდებების ზრდით და ინფრასტრუქტურის განვითარებით სოფლის მეურნეობა სოციალურ დატვირთვასთან ერთად კომერციულ მნიშვნელობასაც იღებულობს. ამ დროს ქვეყანაში იზრდება ამ დარგის კონკურენტუნარიანობა და ბიზნეს გარემო.[60]

დღეისათვის საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობა ზომით მე-5 ადგილზეა. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ეკონომიკაში ბოლო წლების განმავლობაში საკმაოდ მსხვილი ინვესტიციები განხორციელდა, რომლის დონორი მსოფლიო ბანკი და ევროპის რეკონსტრუქციისადა განვითარების ბანკია. შედეგად, 2018 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობამ დაახლოებით 3 მილიარდი ლარი დამატებითი ღირებულება შექმნა, რაც მთლიანი ეკონომიკის 7.8%-ს შეადგენს. ბოლო წლებში სოფლის მეურნეობაში პროდუქციის გამოშვების დინამიკას შემდეგი სახე აქვს:

ნახ. 18[61]

სოფლის მეურნეობაში პროდუქციის გამოშვების დინამიკა 2006-2018 წლებში

[60]http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf?fbclid=IwAR17KvnmRbZmr3r1Dg_TJhejetxSlqr_D_GEvHva-7go7gLDBm2YeZkq2tE

[61]http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf?fbclid=IwAR17KvnmRbZmr3r1Dg_TJhejetxSlqr_D_GEvHva-7go7gLDBm2YeZkq2tE



სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საინტერესოა იმ დამატებითი ღირებულების დინამიკაზე დაკვირვება, რომელსაც ეს დარგი ქნის. ბოლოს წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა, როგორც ჩავარდნის, ისე აღმავლობის პერიოდებს. დინამიკის ეს ცვლილება მრავალ ფაქტორს უკავშირდება, თუმცა უმთავრესი მიზეზი მაინც დარგში ინვესტირებას და ტექნოლოგიების დანერგვას უკავშირდება, თუ ბოლო წლების მანძილზე სოფლის მეურნეობის მიერ შექმნილმა დამატებულმა ღირებულებამ საკმაოდ მზარდი ხასიათი მიიღო. დინამიკას შემდეგი სახე აქვს:

ნახ. 19[62]

სოფლის მეურნეობის მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება

[62]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Agriculture__General%20Information/TABLE_1.03.px/?rxid=9b024d71-572d-448d-b267-f5317d6f45ef



იმისათვის, რომ სოფლის მეურნეობის დარგის განვითარება მოხდეს, აუცილებელია შესაბამისი ინვესტიციების განხორციელება. დარგის განვითარებისთვის საჭიროა პირველ რიგში კვალიფიციური ადამიანები და შესაბამისი ტექნოლოგიები. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სოფლის მეურნეობაში ინვესტირების დინამიკა საკმაოდ დადებითია. იმის გათვალისწინებით, რომ სოფლის მეურნეობის დარგს გააჩნია პოტენიცალი ქვეყანაში დასაქმების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სფერო გახდეს, ინვესტირება ამ დარგში ყველა ქვეყნისთვის პრიორიტეტულია.

ზოგიერთი ეკონომისტი სოფლის მეურნების დარგს მრეწველობის ნაწილად განიხილავს, რადგან აქ გამოიყენება სხვადასხვა სფეროში წარმოებული პროდუქცია, მაგალითად მანქანა - დანადგარები. სოფლის მეურნეობაში ინვესტირება, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისებას იწვევს და ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა აქტუალურ პრობლემას უმუშევრობა წარმოადგენს. ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებით კი შესაძლებელი ხდება ეკონომიკაში უფრო მეტი სამუშაო ძალის ჩართვა, რადგან კერძო სექტორი უმსხვილესი დამსაქმებელია.

ბოლო წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციების დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ნახ. 20[63]

სოფლის მეურნეობაში განხორციელებული ინვესტიციები

[63]http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/1..px/?rxid=77b488b4-13d0-40c6-9fe0-f956712316df



უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის როლი წლიდან წლამდე იზრდება. ქვეყანაში მოქმედებს სპეციალური პროგრამა „ აწარმოე საქართველოში“, რომლის ფარგლებშიც გლეხებს და მცირე მეწარმეებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ შეღავათიანი აგრო კრედიტები, რაც ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას მკვეთრად აჩქარებს. ამ პროგრამის ფარგლებში მთავრობა ასევე ეხმარება მეწარმეებს გასაღების ბაზრების ათვისებაში, ეს ყველაფერი კი საბოლოოდ დადებით გავლენას ახდენს ექსპორტის ზრდაზე.[64]

საერთასორისო ვაჭრობის ეკონომიკური ეფექტი ერთ-ერთი ძირთადი ფაქტორია, რომელიც ეკონომიკურ ზრდას განსაზღვრავს, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნის მიერ ექსპორტის ზრდის შედეგად მიღებული შემოსავლები დადებითი დინამიკით ხასიათება:

ნახ. 21[65]

საქართველოს ექსპორტი 1995-2019 წლების მიხედვით

[64]https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-soplis-meurneobis-sektorshi-2012-2019-clebshi-arsebuli-ziritadi-tendenciebi?fbclid=IwAR2N68e1EUabGyYib7WFCQQ3zLtPlpw8_IpgmPWbR1lIyWIxriyPZQuDVUs
[65]http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Databa



სოფლის მეურნეობასთან ერთად საქართველოსთვის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს ტურისტული შესაძლებლობები და მისი განვითარება. ბოლო წლების განმავლობაში ინვესტიციების უმეტესობა სწორედ ამ სფეროზე მოდიოდა.

საერთაშორისო და შიდა ტურიზმს მართლაც დადებითი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკაზე. ამ სფეროს შესწევს უნარი პირდაპირ იმოქმედოს მთლიანი შიდა პროდუქტსა და დასაქმების დონეზე, რადაგნ უცხოელი ტურისტების მიერ ქვეყანაში გაწეული ხარჯები, პირდაპირ აისახება საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობაზე. ტურიზმს ასევე შესწევს ძალა მნიშვნელოვნად გაზარდოს ექსპორტი, მაგალითად 2019 წელს ექსპორტის 68% ტურიზმზე მოდიოდა. აქედან გამომდინარე ნათელია, რომ ტურიზმის სფეროს მართლაც პოზიტიური გავლენა შეიძლება ჰქონდეს ეკონომიკურ ზრდაზე.

ქვეყანაში ტურიზიმი განიხლებოდა, როგორც ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი, თუმცა ეს სფერო ეკონომიკისთვის წარმოადგენს დამხმარე ფაქტორს და ძირითადი აქცენტი ადგილობრივ წარმოებაზე უნდა იყოს გაკეთებული. ტურიზმის მნიშვნელობა ისთი განვითარებადი ქვეყბისთვის, როგორიც საქართველოა მართლაც დიდია. ამ დარგში ინვესტირება ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის განვითარებას, ქვეყნის ცნობადობის ამაღლებას და ადამიანთა დასაქმებას, მაგრამ მისი, როგორც ეკონომიკის მამოძრავებელი ძალად განხილვა არასწორია.

მთავარი დადებითი თვისება რაც ტურიზმის სფეროს გააჩნია საქართველოში არის ის, რომ იქმნება რეგიონალური განვითარების შესაძლებლობა. ზოგადად ტურიზმი არის სოციალურ-კულტურული მომსახურება, რომელიც საქართველოსნაირი ქვეყნისათვის ეკონოიკური და სოციალური განვითარების მნიშვნელოვანი წყაროა.

განვიხილოთ ქვეყანაში ტურიზმის განვითარების აუცილებელი ფაქტორები. პირველი და უმთავრესი რაც, ქვეყანაში ვიზიტორების მოზიდვას უწყობს ხელს ბუნებრივი მრავალფეროვნებაა, რითაც ქვეყანა მართლაც გამორჩეულია, მაგრამ არსებობს ისეთი ფაქტორებიც, რომლის განვითარების გარეშეც ტურიზმის მზარდი ეკონომიკური შემოსავლების გადაქცევისპოტენციალი, მხოლოდ პოტენციალად დარჩება. ერთ-ერთ ასეთ ფაქტორს წარმოადეგნს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება. ბოლო წლებში ამ მიმართულებით მართლაც სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ჯერ კიდევამ პრობლემის სრულად მოგვარება მზარდი ინვესტიციების მოზიდვასთან არის დაკავშირებული.

ტურიზმის განვითარების მნიშვნელოვანი საკითხია მომსახურების სფეროს განვითარება. ეს ძირითადად მიიღწევა ამ სფეროში დასაქმებული ადამიანების ცოდნის ამაღლებით და განვითარებით. მომსახურების სფერო ერთ-ერთი უმთავრესია, რაც ქვეყანაში შემოსული ტურისტების რაოდენობას განსაზღვრავს.[66]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ტურიზმის სახელმწიფოს მხირიდან რეგულირების საკითხი და მონოპოლიების აღმოფხვრა, ქვეყანაში რაც უფრო სამართალიანი კონკურცენტული გამოა, მით უფრო სწრაფად ხდება დარგის განვითარება. აღსანიშნავი საკითხია ასევე კრიმინოგენური ვითარება ქვეყანაში, მისი სათანადოდ რეგულირების გარეშე, ამ დარგის განვითარება უბრალოდ ვერ მოხერხდება, რაც უფრო უსაფრთხო ქვეყნის სტატუსი აქვს ქვეყანას საერთაშორისო შეფასებით, მით უფრო მატულობს ქვეყანაში უცხოელ ვიზიტორთა რაოდენობა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით გასულ წელს საქართველოში დაფიქსირდა უცხოელ ვიზიტორთა უპრეცედენტო რაოდენობა, რომელიც 9 000 000 ადამიანს შეადგენს.

[66]https://forbes.ge/news/838/turizmis-warmatebis-faqtorebi

საქართველოში ტურიზმის სექტორის ამგვარი ზრდა, პირდაპირ აისახება მის ეკონომიკურ შემოსავლებზე, 2013 წლიდან მოყოლებული მკვეთრად გაიზარდა ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლევბი. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცმებით საერთაშორისო მოგზაურებისგან მიღებულმა მთლიანმა შემოსავლებმა 8.5 მილიარდს გადააჭარბა, ხოლო ერთი ადამიანის საშუალო დანახარჯი 1100 ლარზე მეტს შეადგენდა.

უნდა აღინიშოს ის ფაქტი, რომ საქართველოს ამ კუთხით რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს.[67]

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ტურიზმის სფეროს სარგებლიანობას ეხება არის უცხოური ვალუტის შემოდინება ქვეყანაში. როგორც ვიცით საქართველოში ეროვნული ვალუტა ბოლო წლებში მეტად არამდგარდია, რაც ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული. მისი არამდგრადობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასზე არსებული დიდი მოთხოვნაა, რომლის მიწოდებაც ქვეყნის ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომიდნარე ვერ ხერხდება. ტურიზმი კი ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოტანის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ ითვლება. ეკონომიკაში არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ვალუტის გაუფასურება ტურიზმის მატიმულირებელია და ბოლო წლებში ეროვნული ვალუტის გაუფასურების ტენდენციას და ტურისტების რაოდენობის ზრდის დინამაკას თუ დავაკვირდებით, კავშირის დანახვა მართლაც შესაძლებელია. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი ძალიან მნიშვნელოვანი, ინფლაციის ფაქტორი. თუ ქვეყანაში ფიქსირდება ფასების საერთო დონის ზრდა, ამას შეუძლია შეასუსტოს ან სულაც გადაფაროს ვალუტის გაუფასურებიდან გამოწვეული სტიმულები.[68]

როდესაც ტურიზმის სფეროზე ვსაუბრობთ მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ არის თუ არა ეს სფერო მუდმივად სარგებლის მომტანი. ტურიზიმის სფეროს შესაძლოა ჰქონდეს, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენა ეკონომიკაზე. დადებით გავლენა როგორც უკვე ავღნიშნეთ მდგომარეობს მაღალი ეკონომიკური სარგებლის მიღებაში მდგომარეობს,

[67]https://gnta.ge/ge
[68]https://gnta.ge/ge/

მაგრამ ასევე არსებობს შემთხვევები, როდესაც ტურიზმი ეკონომიკურად წამგებიანად შეიძლება ჩაითვალოს.

ის, რომ საქართველო საქართველო იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა, უარყოფითად მოქმედებს ბევრი ეკონომიკური სფეროს, მათ შორის ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების რაოდენობაზე. როდესაც უცხოელი ტურისტი ჩამოდის ქვეყანაში ის ხარჯავს საკუთარი თახნის გარკვევულ ნაწილს საქონლისა და მომსახურების მისაღებად. ძირითადი საქონლისა და მომსახურების რაოდენობა, რომელსაც ის საქართველოში იღებს იმპოტირებულია სხვა ქვეყნიდან, რაშიც ქვეყნა იხდის საკმაოდ დიდი რაოდენობის სახსრებს.

ასევე ის სერვისი, რომელსაც ის იღებს ქვეყნის შიგნით დაკავშირებულია გარკვეულ დანახარჯებთან და თუ მის მიერ ქვეყნის შიგნით დატოვებული კაპიტალი არ აღემატება მის მიერ ქვეყანაში დატოვებული კაპიტალის რაოდენობას, მისი ქვეყანაში მოგაზურობა უფრო მეტად დამაზარალებელია ქვეყნისთვის, ვიდრე მომგებიანი. ამიტომ სრულიად შესაძლებელია ტურიზმის სფერო წამგებიანი იყოს ქვეყნისათვის, როდესაც იმპორტდამოკიდებული ქვეყანას ეხება საქმე, ისეთს, როგორიც საქართველოა. ასევე გასათვალისწინებელია ეროვნული ვალუტის მერყეობა, რაც გარკვეულწილად ასტიმულირებს ტურიზმს, მაგრამ შესაძლებელია ეს ქვეყნის შემოსავლებში საერთოდ არ აისახოს.

ეროვნული ვალუტის მერყეობა ერთ-ერთი მიზეზია რის გამოც ტურიზმი შესაძლოა ეკონომიკის მომგებიანი სფეროდან, წამგებიანად გადაიქცეს. ბოლო წლების განმავლობაში ლარმა საკმაოდ მნიშვნელოვანი ვარდნა განიცადა, კერძოდ დოლართან მიმართებაში მისი ღირებულება 1.5- ჯერ გაუფასურდა, რაც ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე მკაფიოდ აისახა. ეროვნული ვალუტის გაუფასურების შედეგად ძვირდება საერთაშორისო ვალუტის, დოლარის ღირებულება, რითაც მიმდინარეობს ვაჭრობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან. შესაბამისად საქართველოს მთავრობას მეტი ლარის დახარჯვა უწევს იმ საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომელიც ქვეყანას სჭირდება. ეს თავისთავად აძვირებს ცხოვრებს დონეს ქვეყანაში, რაც აისახება ეკონომიკის ყველა სფეროზეც, მათ შორის ტურიზმზეც.

სწორედ ეს წარმოადგენს ტურიზმის სფეროს ნეგატიურ მხარეს ეკონმომიკაში. საქართველოს მაგალითზე ეს კიდევ უფრო მეტად დამაზარალებელია, რადგან ამ სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის, შედგად კი შესაბამისი სარგებლის მიღება ვალუტის მერყეობასთან ერთად უფრო რთულდება.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდა ყველა ქვეყნისთვის ფუნდამენტური საკითხია. ეკონომიკური ზრდის მიღწევა დაკავშირებულია სხვადასხვა ინდიკატორებთან, მაგრამ უმთავრესი მაინც ის ეკონომიკური პოლიტიკაა, რომელსაც ქვეყანა ახორციელებს. ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედებს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ფაქტორები. პირდაპირი ფაქტორებიდან ეკონომიკური ზრდის ფუნდამენტს ადამიანური კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, ფიზიკური კაპიტალის ფორმირება და ტექნოლოგიური პროგრესი წარმოადგენს. არაპირდაპირი ფაქტორებიდან კი, ძირითადად, მთავრობის ეფექტიანობა, ეკონომიკური პოლიტიკა, პოლიტიკური და სოციალური სისტემები და ქვეყნის გეოგრაფიული შესაძლებლობები გამოიყოფა.

ზოგადად, ქვეყანა მაშინ ახერხებს ეკონომიკური ზრდის მიღწევას, როდესაც ქვეყანაში არსებობს თავისუფალი კონკურენტული გარემო და ადგილი არ აქვს მონოპოლიებს. ყოველგვარი მონოპოლიის არსებობა ქვეყანაში ამცირებს განვითარების შესაძლებლობას და ამუხრუჭებს ეკონომიკას.

ნაშრომში განხილულია მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედება ეკონომიკურ ზრდაზე. მონეტარული პოლიტიკის ცვლილებას შეუძლია როგორც ეკონომიკის სტიმულირება, ისე მისი შეზღუდვაც. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი და ინფლაციის თარგეთთან ახლოს ყოფნა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის ნიშანია და სწორედ ამიტომ მისი ეფექტური მართვა ეკონომიკური ზრდის წინაპირობა შესაძლოა გახდეს.

სახელმწიფოს მხრიდან ხარჯვითი ნაწილის შემცირდება და ეროვნული დანაზოგების ზრდა ამაღლების ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს და ეკონომიკურ მდგრადობას.

ეკონომიკური ზრდის მიღწევა ასევე მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვასა და მათი რეალური სექტორში მიმართვასთან. ისეთ სფეროებში ინვესტირება, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და სამშნებელო სექტორი, წარმოადგენს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას. რაც უფრო მეტი ინვესტიციაა მიმართული ამ სფეროსკენ, მით უფრო იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, ქვეყნის ექსპორტი და ზოგადად ეკონომიკა.

ნაშრომში ასევე განხილულია ბიუჯეტური დეფიციტის, საგადასახდელო ბალანსის, საგარეო ვალის და ეროვნული დანაზოგების ზემოქმედება საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს მრეწველობის განვითარების დინამიკა. აღნიშნულია, რომ მისი განვითარება იმპორტდამოკიდებულების პირობებში მეტად რთულია, თუმცა ამ პირობებშიც კი ეს სფერო ახერხებს იყოს ქვეყანაში ერთ–ერთი ყველაზე დიდი დამსაქმებელი და სწორედ ამიტომაა მისი განვითარება ქვეყნისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის.

მრეწველობის სფეროსთან ერთად საქართველოს მაგალითზე, ნაშრომში აქცენტი კეთდება სოფლის მეურნეობის სფეროზე. საქართველოში წარმოებული პროდუქტის ზრდა წარმოადგენს ექსპორტის ზრდის წინაპირობას, თუმცა ამ სფეროს განვითარებაც ასევე მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. სოფლის მეურნეობის განვითარება არის ერთ–ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტი, რომლის საშუალებითაც

იმპორტდამოკიდებულების შემცირებაა შესაძლებელი, ეს კი ქვეყნაში ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ტურიზმის სფერო, რომელიც ქვეყანაში ერთ–ერთი ყველაზე მზარდია. ნაშრომში ტურიზიმის სფერო განხილულია, როგორც ეკონომიკის შემავსებელი რგოლი და არა ფუნდამენტური. ტურიზმს ნამდვილად შეუძლია ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო გახდეს, როგორც უცხოური ვალუტის შემოდინებით, ისე ექსპორტის ზრდით, თუმცა ასევე განხილულია შემთხვევაც, როდესაც ტურიზმის სფერო ეკონომიკურად დამაზარალებელია ქვეყნის ეკონომიკისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე, რ. (2015). *ეკონომიკური განვითარება - ეკონომიკური ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მთავარი ფაქტორი.* Retrieved from https://www.tsu.ge: https://www.tsu.ge/science/?leng=ge&cat=jurnal&jnomeri=4&tid=21
2. აბსანაძე, თ. (2017). *სიღარიბის ზრდის რეალური მიზეზები - დაბალი ეკონომიკური ზრდა, უმუშევრობა, სამომხმარებლო ფასების მატება.* Retrieved from https://factcheck.ge/: https://factcheck.ge/ka/story/37711-sigharibis-zrdis-realuri-mizezebi-dabali-ekonomikuri-zrda-umushevroba-samomkhmareblo-phasebis-mateba
3. ადმინისტრაცია, ტ. ე. (2020). *ტურიზმის სტატისტიკა.* Retrieved from https://gnta.ge/ge: https://gnta.ge/ge
4. ანანიაშვილი, ი., აჩელაშვილი, კ., მესხია, ი., პაპავა, ვ., სილაგაძე, ა., & წერეთელი, გ. (2003). *მაკროეკონომიკური რეგულირების მოდელები და მეთოდები.* თბილისი: მეცნიერება.

5. არევაძე, ლ. (2015, 12 15). *ინკლუზიური ზრდა*. Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/ge/what-is-inclusive-growth
6. არევაძე, ლ. (2015, 12 15). *რა არის ინკლუზიური ზრდა?* Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/ge/what-is-inclusive-growth
7. ბაზა, მ. (2020). *სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database
8. ბანკი, ს. ე. (2019). *ბიუჯეტის დეფიციტი*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494&fbclid=IwAR1J6ISTjsljfnpzGoYxn-H0i-7LjBM203pnTpxYFeUz9gg4SSwRB3m8qDU
9. ბანკი, ს. ე. (2019). *დანაზოგის დონე*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494&fbclid=IwAR1J6ISTjsljfnpzGoYxn-H0i-7LjBM203pnTpxYFeUz9gg4SSwRB3m8qDU
10. ბანკი, ს. ე. (2019). *საგარეო ვალი/მშპ*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494
11. ბანკი, ს. ე. (2019). *ტენდენციები*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494
12. ბანკი, ს. ე. (2019). *ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494&fbclid=IwAR3dQKm_7MACCehVru0GtdT06JnHs_DErQhNaqVW1h8mJGNHb4rFnBL-yDs
13. ბანკი, ს. ე. (2020, 03 27). *საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3895
14. ბანკი, ს. ე. (2020, 03 27). *საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი*. Retrieved from ngb.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3895
15. ბანკი, ს. ე. (n.d.). *ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და საერთაშორისო რეიტინგები*. Retrieved from nbg.gov.ge: https://www.nbg.gov.ge/index.php?m=494
16. ბიბლიოთეკა, ს. პ. (2008). *ბიუჯეტის დეფიციტი*. Retrieved from http://www.nplg.gov.ge/: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=15055

17. გამჭირვალობა, ს. (2016). *სახელმწიფო ვალის აღრიცხვის მეთოდოლოგია საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება*. Retrieved from transparency.ge: https://www.transparency.ge/sites/default/files/saxelmcipo-valis-agricxvis-metodologia-saertashoriso-standartebs-ar-sheesabameba.pdf

18. გამჭირვალობა, ს. (2020, 03 12). *საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორში 2012-2019 წლებში არსებული ძირითადი ტენდენციები*. Retrieved from https://transparency.ge/: https://transparency.ge/ge/post/sakartvelos-soplis-meurneobis-sektorshi-2012-2019-clebshi-arsebuli-ziritadi-tendenciebi?fbclid=IwAR2N68e1EUabGyYib7WFCQQ3zLtPlpw8_IpgmPWbR1lIyWIxriyPZQuDVUs

19. გამჭიროვალობა, ს. (n.d.). *სახელმწიფო ვალის აღრიცხვის მეთოდოლოგია საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება*. Retrieved from https://www.transparency.ge/: https://www.transparency.ge/sites/default/files/saxelmcipo-valis-agricxvis-metodologia-saertashoriso-standartebs-ar-sheesabameba.pdf

20. გეგეშიძე, ე. (2010). *მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა*. Retrieved from https://www.tsu.ge/: https://www.tsu.ge/data/file_db/library/PHD_Eka%20Gegeshidze.pdf

21. გოთუა, გ. (2015, 10 16). *ინკლუზიური ზრდა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული მიდგომა - ალტერნატივები საქართველოს განვითარების პოლიტიკისთვის*. Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/ge/inclusive-growth-capability-approach-alternatives-georgia

22. ვეშაპიძე, შ. (2015). *ეკონომიკის საფუძვლები.* თბილისი: დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია.

23. ვიკიპედია. (2020, 06 02). *მრეწველობა*. Retrieved from https://ka.wikipedia.org/: https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%AC%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90

24. ინსტიტუტი, ი. თ. (2017, 09 05). *ყველა სახის სიღარიბი აღმოფხვრა*. Retrieved from idfi.ge: https://idfi.ge/ge/sdg_essay_goal_1_no_poverty

25. მექვაბიშვილი, ე. (2016). *თანამედროვე ეკონომიკური თეორიები, სალექციო კურსი.* თბილისი: ელექტრონული ფორმატი.

26. მთავრობა, ს. (2014, 06 17). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.* Retrieved from http://www.economy.ge/: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/2020/saqartvelo_2020.pdf

27. მთავრობა, ს. (2020). *საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია* . Retrieved from https://napr.gov.ge/: https://napr.gov.ge/source/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90/ViewFile.pdf

28. ნამჩავაძე, ბ. (2018, 05 18). *საგადასახდელო ბალანსი.* Retrieved from forbes.ge: https://forbes.ge/news/3926/sagadasaxdelo-balansi-gaumjobesda

29. ოფისი, პ. ს. (2019). *ფისკალური პოლიტიკის შეფასება.* Retrieved from http://pbo.parliament.ge: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/Fiscal_Stance_and_Space.pdf

30. ოფისი, ს. პ. (2015). *ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ.* Retrieved from http://pbo.parliament.ge/: http://pbo.parliament.ge/media/k2/attachments/biujetis-deficiti.pdf

31. პაპავა , ვ. (2002). *პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა.* თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა კვლევის აკადემია.

32. პაპავა, ვ. (2012). *ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების სივრცობრივი შედარება.* თბილისი: პაატა გუგულიშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა.

33. სამინისტრო, ს. ფ. (2016). *საქართველოს ფისკალური პოლიტიკა და მართვა და მისი თავსებადობა ევროკავშირის პრაქტიკასთან.* Retrieved from mof.ge: https://mof.ge/images/File/public%20finances%20in%20Geo/Fiscal%20Governance%20%20study%20GEO%20saboloo.pdf

34. სამინისტრო, ს. ფ. (2018). *ბიუჯეტის დეფიციტი.* Retrieved from mof.ge: https://mof.ge/biujetis_deficiti

35. სამინისტრო, ს. ფ. (2018). *ბიუჯიეტის ხარჯები ფუნქციონალურ ჭრილში*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/biujetebis_xarjebi_funkcionalur_chrilshi

36. სამინისტრო, ს. ფ. (2018). *საქართველოს ბიუჯეტის ხარკები ფუნქციონალურ ჭრილში*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/biujetebis_xarjebi_funkcionalur_chrilshi

37. სამინისტრო, ს. ფ. (2019, 04). *მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf

38. სამინისტრო, ს. ფ. (2019). *მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/images/File/2019-publikaciebi/Outlook-April-2019_GEO.pdf

39. სამინისტრო, ს. ფ. (2019). *სახელმწიფო ვალი*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/saxelmwifo_vali

40. სამინისტრო, ს. ფ. (2019). *სახელმწიფო ვალი*. Retrieved from mof.ge: https://mof.ge/saxelmwifo_vali

41. სამსახური, ს. ე. (20, 06 08). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების, წლებისა და კვარტლების მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/8..px/?rxid=7f6b6b2f-1846-444e-84ea-40e06de1b3ad

42. სამსახური, ს. ე. (2018). *დამატებული ღირებულების მოცულობა მრეწველობაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Value%20added/Value_Added_by_Kind_of_Economic_Activity.px/?rxid=efc8ca46-97cd-47ea-bbd8-8752e22e7433

43. სამსახური, ს. ე. (2019). *დასაქმება და უმუშევრობა*. Retrieved from geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

44. სამსახური, ს. ე. (2019). *დასაქმება და უმუშევრობა*. Retrieved from geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

45. სამსახური, ს. ე. (2019). *სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)*. Retrieved from www.geostat.ge: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/26/samomkhmareblo-fasebis-indeksi-inflatsia

46. სამსახური, ს. ე. (2020, 06 13). *დამატებული ღირებულების მოცულობა მრეწველობაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Value%20added/Value_Added_by_Kind_of_Economic_Activity.px/?rxid=efc8ca46-97cd-47ea-bbd8-8752e22e7433

47. სამსახური, ს. ე. (2020). *მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Turnover/turnover_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=aef5940f-66cb-47c8-ad9e-da6edd879929

48. სამსახური, ს. ე. (2020, 05 09). *მრეწველობაში ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Turnover/turnover_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=7afe8884-e028-49c0-b1a4-c8cf23097979

49. სამსახური, ს. ე. (2020, 04 13). *მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Industry__Industry%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Number%20of%20persons%20employed/number_of_persons_employed_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=d4f90af4-db2a-4f80-a6e0

50. სამსახური, ს. ე. (2020, 05 04). *მშენებლობაში დაქირავებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით*. Retrieved from

geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Construction__Construction%20By%20kind%20of%20economic%20activity%20NACE%20rev.2__Number%20of%20employees/number_of_employees_by_kind_of_economic_activity.px/?rxid=45a7fdce-a326-4563-a6f2-89c5f70

51. სამსახური, ს. ე. (2020, 04 05). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების, წლებისა და კვარტლების მიხედვით*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/8..px/?rxid=6a701b1c-6c06-4c24-8c4d-a6b71f2732c1

52. სამსახური, ს. ე. (2020). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში წლების და კვარტლების მიხედვით (1996-2020)*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/1..px/?rxid=37bc7cb4-99e3-4c59-b76b-ead7a3a0f4e9

53. სამსახური, ს. ე. (2020, 2504 04). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში წლების და კვარტლების მიხედვით (1996-2020)*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/1..px/?rxid=77b488b4-13d0-40c6-9fe0-f956712316df

54. სამსახური, ს. ე. (2020, 04 05). *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში წლების და კვარტლების მიხედვით (1996-2020)*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__FDI/1..px/?rxid=37bc7cb4-99e3-4c59-b76b-ead7a3a0f4e9

55. სამსახური, ს. ე. (2020, 05 13). *სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და თევზჭერის პროდუქციის გამოშვება, შუალედური მოხმარება და დამატებული ღირებულება*. Retrieved from geostat.ge: http://pc-axis.geostat.ge/PXweb/pxweb/ka/Database/Database__Agriculture__General%20Information/TABLE_1.03.px/?rxid=9b024d71-572d-448d-b267-f5317d6f45ef

56. სიხარულიძე, დ. (2018). *სამრეწველო და საწარმოო პოლიტიკა*. Retrieved from https://csogeorgia.org/: https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5d2/d86/064/5d2d86064dc7e447364112.pdf

57. შერგელაშვილი, თ., & თოქმაზიშვილი, მ. (n.d.). *საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია*. Retrieved from http://www.ei-lat.ge: http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf?fbclid=IwAR17KvnmRbZmr3r1Dg_TJhejetxSlqr_D_GEvHva-7go7gLDBm2YeZkq2tE

58. შერგელიშვილი, თ., & თოქმაზიშვილი, მ. (n.d.). *სოფლის მეურნეობის სფეროს ტრანსფორმაცია*. Retrieved from http://www.ei-lat.ge/: http://www.ei-lat.ge/images/doc/20%20Years%20of%20Independence-Transformation%20of%20Georgian%20Agricultural%20System.pdf?fbclid=IwAR17KvnmRbZmr3r1Dg_TJhejetxSlqr_D_GEvHva-7go7gLDBm2YeZkq2tE

59. ცერცვაძე, ნ. (2016, 08 26). *ტურიზმის წარმატების ფაქტორები*. Retrieved from forbs.ge: https://forbes.ge/news/838/turizmis-warmatebis-faqtorebi

60. ჭანაია, მ. (2009). *ეკონომიკური და სავალუტო უსაფრთხოების ზოგიერთი საკითხები.* თბილისი: გამომცემლობა უნივერსალი.

61. ხადური, ნ. (თბილისი). *მაკროეკონომიკა, ლექციების კურსი (ნაწილი I).* 2007: ელექტრონული ფორმატი.

62. ხეთერელი ანდრო, გაბუნია, ი., & აბიშიძე , უ. (2012). *სოფლად სიღარიბის დაძლევის მოდელები*. Retrieved from http://www.civilin.org: http://www.civilin.org/pdf/Agro.pdf

63. chappelow, j., & gordon, s. (2020, 04 20). *Fiscal Policy*. Retrieved from investipedia.com: https://www.investopedia.com/terms/f/fiscalpolicy.asp

64. cuepper, j. (2020, 04 21). *Top 5 Economic Indicators for Global Investors*. Retrieved from https://www.thebalance.com/: https://www.thebalance.com/top-economic-indicators-for-global-investors-1979208

65. *exogenous growth*. (n.d.). Retrieved from economicsdiscussion.net: https://www.economicsdiscussion.net/economic-growth/5-factors-that-affect-the-economic-growth-of-a-country/4199

66. Furhmann, R. (2020, 04 21). *Okun's Law: Economic Growth and Unemployment*. Retrieved from investipedia.com: https://www.investopedia.com/articles/economics/12/okuns-law.asp

67. ganti, a. (2019, 08 19). *Exogenous Growth*. Retrieved from investipedia.com: https://www.investopedia.com/terms/e/exogenous-growth.asp

68. hua, l. (2018, 03 26). *7 Indicators Showing Economic Growth*. Retrieved from https://fairmontequities.com/: https://fairmontequities.com/7-indicators-showing-economic-growth/

69. liberty, T. l. (n.d.). *Roy F. Harrod*. Retrieved from https://www.econlib.org/: https://www.econlib.org/library/Enc/bios/Harrod.html

70. Odhaimbo, N., & Makuyana, G. (2019, 04 16). *Public and private investment and economic growth in Malawi: an ARDL-bounds testing approach*. Retrieved from https://www.tandfonline.com/: https://www.tandfonline.com/doi/full/10.1080/1331677X.2019.1578677

71. Press, T. U. (2016). *Economic Sciences*. Retrieved from https://doaj.org/: https://doaj.org/toc/2065-2194?source=%7B%22query%22%3A%7B%22filtered%22%3A%7B%22filter%22%3A%7B%22bool%22%3A%7B%22must%22%3A%5B%7B%22terms%22%3A%7B%22index.issn.exact%22%3A%5B%222065-2194%22%5D%7D%7D%2C%7B%22term%22%3A%7B%22_type%22%3A%22article%22%7D%7D

72. wikipedia. (2020, 04 21). *Regulatory economics*. Retrieved from wikipedia.org: https://en.wikipedia.org/wiki/Regulatory_economics